საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 67

2016 წლის 17 მაისი ქ. ბათუმი

აჭარის 2016-2020 წლების სოფლის განვითარების სტრატეგიის სახელმძღვანელო დოკუმენტის დამტკიცების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე–9 მუხლის შესაბამისად:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით დამტკიცდეს აჭარის 2016-2020 წლების სოფლის განვითარების სტრატეგიის სახელმძღვანელო დოკუმენტი, თანახმად დანართისა.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მთავრობის თავმჯდომარე ირაკლი ხაბაძე

აჭარის სოფლის განვითარების სტრატეგია 2016 - 2020

წინამდებარე სტრატეგიის დოკუმენტის პროექტი შემუშავებულია ევროკავშირის და აჭარის ა/რ მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის, „*ENPARD აჭარა - აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა*“ - მხარდაჭერით, რომელსაც ახორციელებს UNDP

Empowered lives.
Resilient nations.

EUROPEAN NEIGHBOURHOOD PROGRAMME
FOR AGRICULTURE AND RURAL DEVELOPMENT

შესავალი

		გვერდი
1.	შესავალი	4
2.	SWOT-ის ანალიზი	7
3.	აჭარის სოფლის განვითარების ხედვა	13
4.	პრიორიტეტული მიზნები	17
5.	ამოცანები, პოტენციური ღონისძიებები, შესაძლო საქმიანობები	19
6.	ღონისძიებების ზეგავლენა და მოსალოდნელი შუალედური შედეგები	27
7.	ეროვნული, მუნიციპალური და სექტორების განვითარების გეგმების ჰარმონიზების მექანიზმები	33
8.	პროგრამების, სისტემის შემუშავება და სამოქმედო გეგმის შედგენა	35
9.	ინდიკატორების,მონიტორინგისა და შეფასების გეგმის შემუშავება	37
10.	განხორციელების სტრუქტურული საფუძვლები, მმართველობა და ინსიტუციური ფუნქციები და პასუხისმგებლობები	39
11.	ფინანსური კონტროლის მექანიზმები და სანქციები	42
12.	დაინტერესებული მხარეების ჩართვის სტრატეგია	44
13.	ტრენინგების, კვლევების, სადემოსტრაციო პროექტებისა და საპილოტე პროექტების საჭიროება	48

დანართი

1. ფონური შეფასება – არსებული სიტუაციის ანალიზი

აბრევიატურები

ACDA	სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო
AR	ავტონომიური რესპუბლიკა
EAFRD	ევროპის სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ფონდი
EIP	გარემოზე ზემოქმედების ნებართვა
ENPARD	ევროპის სამეზობლოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პროგრამა
EU	ევროკავშირი
FDI	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
GEL	ლარი
GDP	მთლიანი შიდა პროდუქტი
GHG	სათბური გაზების ემისია
IOM	მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
LAGs	ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფები
LFA	ნაკლებად ხელსაყრელი ტერიტორია
LEADER	სასოფლო ეკონომიკას და განვითარებას შორის კავშირები
MA	მმართველი ორგანო
M&E	მონიტორინგი და შეფასება
MoA	სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MS	წევრი სახელმწიფოები
NGO	არასამთავრობო ორგანიზაციები
PMU	პროგრამის მმართველი ერთეული
RDC	სოფლის განვითარების საბჭო
RDPs	სოფლის განვითარების პროგრამები
RDS	სოფლის განვითარების სტრატეგია
SWOT	ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები
TVA	მთლიანი დამატებული ღირებულება
UN	გაერთიანებული ერები
UNDP	გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა

1. შესავალი

1. სოფლის განვითარება არის შედარებით იზოლირებულ და მეჩხრად დასახლებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანთა სიცოცხლის ხარისხისა და ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესების პროცესი.

2. სოფლის განვითარება ტრადიციულად ყურადღებას ამახვილებდა ნიადაგის ინტენსიურ მომხმარებელ ბუნებრივ რესურსებზე, როგორებიცაა სოფლის მეურნეობა და მეტყევეობა. თუმცა, გლობალური წარმოების ქსელებში ცვლილებებმა და ურბანიზაციის ზრდამ სასოფლო ტერიტორიების ბუნება შეცვალა. მზარდმა ტურიზმმა, ნიშა-პროდუქტების მწარმოებლებმა და რეკრეაციამ ჩაანაცვლა რესურსების მოპოვება და სოფლის მეურნეობა, როგორც წამყვანი ეკონომიკური მამოძრავებელი ძალები.

3. სოფლის განვითარებას შეუძლია მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულება გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, სადაც ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, მომსახურებებზე ხელმისაწვდომობისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაზრდის გზით სოფლის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და უკიდურესი სიღარიბის დონეების შემცირება ხშირად წამყვან ფაქტორებს წარმოადგენს.

4. იმისათვის, რომ სასოფლო თემები განვითარებას უფრო მეტი პერსპექტივით მიუდგნენ, აუცილებლია მეტი ყურადღების გამახვილებასოფლის მეურნეობაზე, რესურსებზე დაფუძნებულ წარმოებებზე, სტიმულების შექმნის ნაცვლად.. განათლება, მეწარმოება, ფიზიკური ინფრასტრუქტურა, ბიომრავალფეროვნების დაცვა და გაძლიერება, კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტირება,მდგრადობა,სოციალური ინფრასტრუქტურა, ყოველივე ეს მნიშვნელოვან როლს თამაშობს სასოფლო რეგიონების განვითარებაში.

5. სოფლის განვითარებისათვის ასევე დამახასიათებელია ადგილობრივ დონეზე შემუშავებული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიების გათვალისწინება. ურბანული რეგიონებისაგან განსხვავებით, რომელთაც მრავალი მსგავსება ახასიათებთ, სასოფლო ადგილები ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდებიან.

6. ევროკავშირი უკვე დიდი ხანია ახორციელებს სოფლის განვითარების პროგრამას და მასთან დაკავშირებით შეიმუშავა ძირითადი სტრუქტურა, რომლის ფარგლებშიც წევრი სახელმწიფოები ჩამოაყალიბებენ სტრატეგიებს და შვიდწლიან პროგრამებს სოფლის განვითარების წინაშე მდგარი გამოწვევების გადასალახავად. ევროკავშირის სოფლის განვითარების სამი გრძელვადიანი სტრატეგიული ამოცანა 2014-2020 წლების პერიოდისათვის შესაძლოა განისაზღვროს შემდეგნაირად:

→ სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა;
→ ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვისა და კლიმატის ცვლილების გამომწვევი მიზეზების შერბილების ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა;
→ სოფლის ეკონომიკისა და თემების დაბალანსებული ტერიტორიული განვითარების მიღწევა, მათ შორის დასაქმების შესაძლებლობების შექმნა და შენარჩუნება.

7. სოფლის განვითარების სტრატეგიის შემუშავება აღიქმება აჭარის განვითარების უფრო ფართო პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილად. აქ შეჯამებული სახით წარმოდგენილი სტრატეგია მომზადდა ევროკავშირის გამოცდილების, მის მიერ სოფლის განვითარებისათვის განსაზღვრული ძირითადი სტრუქტურის, ღონისძიებების და პროგრამის მეთოდოლოგიის შესაბამისად[1].

8. შემუშავდება ისეთი სტრატეგია, რომელიც გააუმჯობესებს სოფლის მოსახლეობის საცხოვრებელ პირობებს სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო პროდუქტებიდან და მომსახურებებიდან მიღებული შემოსავლების გაზრდით. იმავდროულად, შემუშავებული სტრატეგია გაითვალისწინებს ადგილობრივი განვითარების და რეგიონული განვითარების სტრატეგიის მეთოდოლოგიების კომპონენტებს, დაინტერესებული მხარეების და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას და მუნიციპალური განვითარების ამოცანებთან თანხვედრას. აღნიშნული სტრატეგიის ძირითადი მახასიათებელი იქნება ადგილობრივ დონეზე მონაწილეობისა და თანამფლობელობის განცდის ჩამოყალიბების ხელშეწყობა LEADER-ის მიდგომის გამოყენებით[2].

9. აღნიშნული სტრატეგიით გათვალისწინებული პერიოდი ემთხვევა ENPARD-ის მიმდინარე პროგრამის პერიოდს და განხორციელდება 2016 – 2020 წლებში.

10. წინამდებარე დოკუმენტში შეჯამებულია *აჭარის სოფლის განვითარების სტრატეგიის* ძირითადი კომპონენტები და მასში წარმოდგენილია:

- → SWOT-ის[3] ანალიზი რეგიონისათვის
- → აჭარაში სოფლის განვითარების ხედვა
- → რეგიონული მიზნები
- → რეგიონული ამოცანები
- → მთელი რიგი ღონისძიებები დასახული ამოცანების მისაღწევად
- → ღონისძიებების ზეგავლენა და მოსალოდნელი შუალედური შედეგები

წარმოდგენილი დოკუმენტი ასევე შეიცავს ცალკეულ სეგმენტებს, რომლებშიც განხილულია პროგრამული კომპონენტები, სტრატეგიის მიმართულების გამოყენებით სოფლის განვითარების განხორციელებადი პროგრამის შემუშავება. პროგრამების შემუშავების შესახებ დოკუმენტის ეს ნაწილი მოიცავს შემდეგ სეგმენტებს:

- → ეროვნული, მუნიციპალური და სექტორული განვითარების გეგმების ჰარმონიზების მექანიზმები
- → პროგრამის შემუშავება და სამოქმედო გეგმის შედგენა
- → ინდიკატორების, მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავება
- → განხორციელების სტრუქტურული საფუძვლები, მმართველობა და ინსტიტუციური ფუნქციები და პასუხისმგებლობები
- → ფინანსური კონტროლის მექანიზმები და სანქციები
- → დაინტერესებული მხარეების ჩართვის სტრატეგია

---

[1] *ევროკავშირის სტრუქტურა მოიცავს: 4 ძირითად კომპონენტს - კონკურენტუნარიანობას, გარემოს დაცვას და სოფლის დივერსიფიკაციას, პლუს LEADER -ის მიდგომას; პრიორიტეტულ თემებს; თემატური ქვე-პროგრამების შესაძლებლობას.*

[2] *LEADER ("Liaison Entre Actions de Développement de l'Économie Rurale" ნიშნავს "სასოფლო ეკონომიკას და განვითარებას შორის კავშირები") არის ადგილობრივი განვითარების მეთოდი, რაც ადგილობრივ მონაწილეებს საშუალებას აძლევს ტერიტორია განავითარონ თავისი ენდოგენური განვითარების პოტენციალით*

[3] *SWOT - შეფასება, რომელიც ხორციელდება ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე შესაძლებლობებისა და საფრთხეების გამოვლენის მიზნით.*

→ ტრენინგების, კვლევების, სადემონსტრაციო პროექტებისა და საპილოტე პროექტების საჭიროება

11. დანართის სახით მოცემულია აჭარაში სოფლად არსებული მდგომარეობის ფონური შეფასება, რომელიც 2015 წელს განხორციელდა. პუნქტების ნუმერაცია დაკავშირებულია SWOT-ის ანალიზთან.

12. წინამდებარე დოკუმენტი შესაძლოა გამოყენებულ იქნას აჭარის მთავრობის, მუნიციპალიტეტების და სოფლის განვითარებით დაინტერესებული მხარეების ინფორმირებისათვის, რადგან რეგიონი ემზადება ინსტიტუციური შესაძლებლობების ჩამოყალიბებისათვის სოფლის განვითარების დაფინანსებული პროგრამის შესამუშავებლად, თავდაპირველად ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული საპილოტე ღონისძიების განხორციელების მეშვეობით[4].

[4] *ENPARD –* ევროპის სამეზობლოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პროგრამა

2. SWOT-ის ანალიზი

1. 2015 წელს PMCG–ის მიერ განხორციელდა აჭარის სიძლიერეების, შეუსაბამობების, ნაკლოვანებების და პოტენციალის ანალიზი სოფლის ინტეგრირებულ განვითარებასთან დაკავშირებით. [5]. ეს ანალიზი მოიცავდა პირველ რიგში ფონურ შეფასებას, რომლის შემდეგაც ჩატარდა პრაქტიკული სემინარი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. ის დასრულდა 2015 წელს დაარსებულ აჭარის სოფლის განვითარების საბჭოსა და სამუშაო ჯგუფთან ჩამოყალიბებული მჭიდრო ურთიერთობებითა და კონსტულტაციებით, რომელიც *აჭარის სოფლის განვითარების სტრატეგიის* მომზადებასა და წარდგენაზე ზედამხედველობის მიზნით შეიქმნა.

2. SWOT-ის ანალიზი ეფუძნება დანართში მოცემულ ფონურ შეფასებაში წარმოდგენილ ძირითად საკითხებს სოფლის განვითარების საბჭოში რეგიონულ დონეზე შეთანხმებულ საკითხებთან ერთად, რომლებიც არ არის დადგენილი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მიუხედავად ამისა, ის მიჩნეულია რეგიონის მახასიათებელ ფაქტორად.

3. SWOT-ის ანალიზი გამოყენებულ იქნა ორიენტირად რეგიონში სოფლის ინტეგრირებული განვითარების პრიორიტეტული მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრის მიზნით. .

4. არსებობს SWOT-ის ანალიზის სხვადასხვა ფორმა, რომლითაც შეფასებულია რეგიონის ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური მდგომარეობა. SWOT-ის ანალიზში პუნქტების სახით ჩამოთვლილი საკითხები დაკავშირებულია ფონურ ანალიზში ხაზგასმულ საკითხებთან, დანართში მოცემული მათი შესაბამისი პარაგრაფების ნუმერაციის მითითებით.

---

http://www.pmcq-i.com

აჭარაში სოფლის ეკონომიკის მდგომარეობის შეფასება SWOT-ის მიხედვით

(პარაგრაფების ნუმერაცია შეესაბამება დანართში მოცემულ ფონურ შეფასებას)

ძლიერი მხარეები	#	სუსტი მხარეები	#
• ადვილად მისადგომობა რკინიგზით, ავტოტრანსპორტით, ზღვით და საჰაერო გზით • თურქეთთან და საერთაშორისო ბაზრებთან ახლოს მდებარეობა • აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა პასუხისმგებლობას იღებს ადგილობრივ მოსახლეობას შეუქმნას მხარდამჭერი და შესაძლებლობების მიმცემი გარემო • ავტონომიური რესპუბლიკა მხარს უჭერს მეწარმეობას • მუნიციპალიტეტებმა მოახდინეს უფლებამოსილების დელეგირება • სახელმწიფო სექტორში ინოვაციურობა წახალისებულია სახელმწიფო მოხელეების სტიმულირების პროგრამებით • საბიუჯეტო მხარდაჭერა სოფლის განვითარებისათვის • საბიუჯეტო მხარდაჭერა სოფლის მეურნეობისათვის • არასასოფლო სამეურნეო პროდუქტებისა და მომსახურებების მხარდაჭერა • ინვესტირება და მხარდაჭერა ძირითად მომსახურებებში • ინფრასტრუქტურის და მომსახურების მიწოდების პრიორიტეტულობა • გრძელვადიანი განვითარების პროგრამები შემუშავებულია რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე • ბუნებრივი რესურსების სიუხვე • საქართველოში ეკონომიკურად ყველაზე სწრაფად მზარდი რეგიონი • მთლიანი დამატებული ღირებულების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე საქართველოში • მიმზიდველი რეგიონი პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის • დასაქმებული ადამიანების რაოდენობის ზრდა • აღინიშნება მომსახურების სექტორის ზრდა • ციტრუსის, ხილისა და ბოსტნეულის მეურნეობები კარგად არის ჩამოყალიბებული • სხვა ნათესების ფართო სპექტრი დამატებული ღირებულების პოტენციალით • რეგიონი აწარმოებს მთლიანად საქართველოში წარმოებული ციტრუსის 70%-ს • ციტრუსის საექსპორტო ბაზრები კარგად არის განვითარებული უკრაინაში, რუსეთში, მოლდოვეთში, აზერბაიჯანში, ბელაურსში, სომხეთში, ყაზახეთსა და უზბეკეთში • მეფუტკრეობის ძლიერი ტრადიცია – ფულის გამომუშავების ღირებული საშუალება • სუფთა წყლის კარგი წყარო • ჩამოყალიბებულია კარგად ფუნქციონირებადი აგრო-მომსახურების ცენტრის ქსელი • სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერა კოოპერატივების მეშვეობით მექანიზაციის უზრუნველსაყოფად	18 19 21 24 29 30 32 33 34 35 36 37 46 68 68 69 71 73 108 108 110 110 115 116 118 121 122	• მოსახლეობის რაოდენობის შემცირება • სოფლის მეურნეობის, მონადირეობის და მეტყეევეობის არადამაკმაყოფილებელი ეკონომიკური შედეგები • სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სამუშაო ადგილების შემცირება • სოფლის მეურნეობაში ნაკლები უკუგება და დაბალი პროდუქტიულობა • სოფლის მეურნეობის უმნიშვნელო წვლილი ადგილობრივ ეკონომიკაში • ფერმების სტრუქტურა და ხარისხის მართვა ძალიან ცუდია • ფერმები ძირითადად მცირე ნაკვეთებზეა მოწყობილი • პირველადი წარმოება ციტრუსის მომარაგების ჯაჭვის ყველაზე სუსტი რგოლია – არასათანადო ხარისხი და დაბალი მოსავლიანობა • ჩაის მოსავლიანობის შემცირება – პლანტაციების დეგრადაცია • მეცხოველეობის სექტორი შეზღუდულია ფურაჟის და საკვების ნაკლებობის გამო • რძის და ხორცის გადამამუშავებელი სიმძლავრეების არარსებობა • ხარისხის უზრუნველყოფის ნაკლებობა • სესხებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთები • ძვირადღირებული მიკრო დაფინანსება • მომხმარებელზე მორეგბული მიკრო-საფინანსო პროდუქტების არარსებობა • მოსახლეობის დაბალი შემოსავალი • საბოლოოდ განაპირობებს მათ დაბალ მსყიდველუნარიანობას, რაც თავის მხრივ განაპირობებს მომსახურებებზე ან პროდუქციაზე დაბალ მოთხოვნას • სოფლებამდე, საურორტო ადგილებამდე, და ტურისტულ ადგილებამდე გზის არასათანადო ინფრასტრუქტურა • სოფელ ადგილებში არასათანადო ტურისტული ინფრასტრუქუტრა • ადგილობრივი თემის ნაკლები დაინტერესება დაიწყოს ბიზნესი არსებული რესურსების გამოყენებით • ნაკლები კვალიფიკაციის არსებობა ბიზნესის წარმოებასა და მომსახურებების მიწოდებაში	62 70 71 72 74 108 108 110 112 114 114 115 119 119 119 131 131 131 131 131

• მუნიციპალიტეტის დონეზე გადამამუშავებელი სიმძლავრეების არსებობა			
შესაძლებლობები	**#**	**საფრთხეები**	**#**
• ეფექტური სატყეო სისტემების ჩამოყალიბება • სატყეო რესურსის დივერსიფიცირება • თხილის წარმოების შესაძლებლობები – ეს სფერო იზრდება • კალმახის წარმოების შესაძლებლობები • ციტრუსის ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობები საწარმო კოოპერატივების ჩამოყალიბება • მექანიზაციაზე ფერმერების ხელმისაწვდომობა იზრდება • იდენტიფიცირებული იქნა მთელი რიგი პოტენციური არასასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და მომსახურებები, მათ შორის: ○ *ტურიზმი; ნერგებისა და სათესლე მასალის წარმოება; სამკურნალო მცენარეების მოყვანა; სურსათის წარმოება; მეღვინეობა; კონსულტაციები სოფლის მეურნეობაში, მათ შორის კომპიუტერების მეშვეობით, კონსულტაციები ფერმერებისათვის, უძრავი ქონების შეფასება და გაყიდვა; საერთო მომსახურებები: ჟურნალისტური, კომპიუტერული პროგრამების შემუშავება და კომპიუტერების გაყიდვა, სატრანსპორტო საშუალებების გაყიდვა და შეკეთება; ტექნიკის/აპარატურის დაინსტალირება და შეკეთება; სუვენირების მაღაზიები; მშენებლობა, და სხვ.* • ბოთლებში წყლის ჩამოსხმის დაწყების შესაძლებლობები	103 104 111 116 117 121 123 128	• პირველადი წარმოება მცირე ფერმების დონეზე – რეაგირება არ მოჰყვება სტიმულირებასა და რჩევას • ციტრუსის წარმოების პოტენციალი შემცირებულია მომარაგების სისტემის ნაკლები კოორდინირების გამო • რძის და ხორცის წარმოების სექტორებში პროდუქციის გადამუშავების ნაკლები შესაძლებლობები ასუსტებს სექტორს და უარყოფით ზეგავლენას ახდენს მაღალმთიან ადგილებში მცხოვრებ მოსახლეობაზე • ხარისხის კონტროლის ნაკლებობა თაფლის წარმოებაში ასუსტებს პოტენციურ შიდა და საერთაშორისო ბაზრებს • რეგიონში ტყის ფონდის 60% დეგრადირებულია • უკონტროლო გადაძოვება ტყეების დეგრადაციის ძირითადი მიზეზია, ასევე სამომავლო რისკ-ფაქტორია • საკვები ბაზის და სპეციალისტების რჩევის ნაკლებობა კალმახის წარმოების განვითარებას აბრკოლებს • ადგილობრივი თემების დაბალი შემოსავალი და ნაკლები მსყიდველუნარიანობა ხელს უშლის დივერსიფიკაციის განხორციალებას ადგილობრივ დონეზე	70 108 114 115 101 101 116 131

აჭარაში გარემოს დაცვის შეფასება SWOT-ის მიხედვით

(პარაგრაფების ნუმერაცია შეესაბამება დანართში მოცემულ ფონურ შეფასებას)

ძლიერი მხარეები	#	სუსტი მხარეები	#
• არაჩვეულებრივი ბუნებრივი გარემო • საბიუჯეტო დახმარება სოფლის განვითარებისათვის • საბიუჯეტო დახმარება სოფლის მეურნეობისათვის • არასასოფლო სამეურნეო პროდუქტებისა და მომსახურებების მხარდაჭერა • ინვესტირება და მხარდაჭერა ძირითად მომსახურებებში • ინფრასტრუქტურის და მომსახურების მიწოდების პრიორიტეტულობა • გრძელვადიანი განვითარების პროგრამები შემუშავებულია რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე • ბუნებრივი რესურსების სიუხვე • ქობულეთის მახლობლად ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობა (EBRD-ის მიერ დაფინანსებული) მთელს რეგიონს მოემსახურება • ნავთობის ნარჩენების გადამამუშავებელი მრეწველობა კარგად არის განვითარებული • რეგიონში არსებობს მინერალური სამკურნალო წყლები • წყლის რესურსების არსებობა ჰიდროელექტრო სადგურებისათვის • ზოგადად, ჰაერის ხარისხი დამაკმაყოფილებელია • დაცული ტერიტორიები კარგად არის დაცული • ვითარდება ეკო ტურიზმის ინფრასტურქტურა • ფუნქციონირებს ეროვნული პარკის ქსელი	2 32 33 34 35 36 37 46 87 87 88 88 89 105 107 125	• ერთ მოსახლეზე მცირე საბიუჯეტო მხარდაჭერა • წყლის, ელექტროენერგიის და ქუჩის განათების არამდგრადი მოწოდება • მოსახლეობის შემცირება • შინამეურნეობების შემოსავალთან მიმართებაში ჯანდაცვის, ელექტროენერგიის და ტრანსპორტირების ხარჯების პროცენტულად მაღალი მაჩვენებელი • სოფლის მოსახლეობის მხოლოდ 42% სარგებლობს ნარჩენების შეგროვების მომსახურებებით • გაზით ნაწილობრივ მომარაგება • საკანალიზაციო სისტემა ხელმისაწვდომია მოსახლეობის მხოლოდ 52% -თვის • სასმელი წყალი ხელმისაწვდომია მოსახლეობის მხოლოდ 64%-თვის და სოფლისმოსახლეობის მხოლოდ 34% -თვის • ზამთრის პერიოდში ელექტროენერგია მიეწოდება მოსახლეობის მხოლოდ 74% -ს • მაღალმთიან ადგილებში წყალდიდობების დროს ზიანდება სოფლის წყალგაყვანილობის სისტემები • ერთ-ერთი ყველაზე დიდი გარემოსდაცვითი გამოწვევაა ნარჩენებისგან და ქიმიური ნივთიერებებისგან გარემოს დაბინძურება • გარემოზე ზემოქმედების ნებართვების არარსებობა ნაგავსაყრელებისათვის • არაოფიციალური ნაგავსაყრელების დიდი რაოდენობა – მაღალი რისკი საზოგადოების ჯანმრთელობისათვის • არ არსებობს ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების შესახებ • მელიორაციის არასათანადო სისტემა	31 46 62 76 77 77 78 79 79 82 86 86 86 86 86 96
შესაძლებლობები	**#**	**საფრთხეები**	**#**
• სათანადო სამეურნეო პრაქტიკის ჩამოყალიბების შესაძლებლობა/საერთაშორისო ინიციატივა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ფერმერთა ყველა პროგრამის ჰარმონიზების მიზნით • კლიმატის ცვლილება – უფრო თბილი შემოდგომა და ზაფხული – პოზიტიური ზეგავლენა ტურიზმზე • განახლებადი ენერგიის მიღების ინიციატივები ადგილობრივი თემებისათვის • ეროვნული პარკების ქსელის კავკასიის უფრო ფართო ქსელთან დაკავშირების რეალური შესაძლებლობა • ეკო ტურიზმის შესაძლებლობები • ფრინველებზე დაკვირვებისა და ველური ბუნების ტურიზმის შესაძლებლობები	32 90 88 125 106 126	• კლიმატის ცვლილება – უფრო ცივი გაზაფხული და ზამთარი • კლიმატის ცვლილება – უფრო მეტი ნალექი • კლიმატის ცვლილება – უფრო ხშირი მეწყერები, წყალდიდობები და უფრო მასშტაბური ეროზია • თოვლზავების ზეგავლენა სოფლის მცხოვრებ მოსახლეობაზე • სანაპიროს ეროზია • ნიადაგის ეროზია • მჟავური წვიმა • ზვავები • შხამ-ქიმიკატებით მოსარგებლე ფერმერთა დაახლოებით 30%არასწორად იყენებს მათ	90 91 91 92 93 95 96 98 118

აჭარაში სოფლის მცხოვრები საზოგადოების შეფასება SWOT-ის მიხედვით

(პარაგრაფების ნუმერაცია შეესაბამება დანართში მოცემულ ფონურ შეფასებას)

ძლიერი მხარეები	#	სუსტი მხარეები	#
• მარტივი დაკავშირება რკინიგზით, ავტოტრანსპორტით, ზღვით და საჰაერო გზით • თურქეთთან და საერთაშორისო ბაზრებთან ახლოს მდებარეობა • ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერა ადგილობრივი მოსახლეობისათვის • ავტონომიური რესპუბლიკა მხარს უჭერს საწარმოებს • მუნიციპალიტეტებმა მოახდინეს უფლებამოსილების დელეგირება • სახელმწიფო სექტორში ინოვაციურობა წახალისებულია სახელმწიფო მოხელეების სტიმულირების პროგრამებით • პროგრამების არსებობა სოფლის განვითარების საკითხების გადასაჭრელად • სოფლის მეურნეობის ფინანსური მხარდაჭერა • არასასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და მომსახურებების მხარდაჭერა • ინვესტიცია და ძირითადი სახელმწიფოებრივი მომსახურებების მხარდაჭერა • ინფრასტრუქტურის და მომსახურების მიწოდების პრიორიტეტულობა • გრძელვადიანი განვითარების პროგრამები შემუშავებულია რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე • ბუნებრივი რესურსების სიუხვე • საქართველოში ეკონომიკურად ყველაზე სწრაფად მზარდი რეგიონი • მთლიანი დამატებული ღირებულების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე საქართველოში • თბილისის შემდეგ ყველაზე მიმზიდველი რეგიონი პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის • საავადმყოფოების მომსახურებით კმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი (86%),გადაუდებელ სიტუაციაში მომსახურებით კმაყოფილი (96%), მათ შორის (82%) - სახანძრო მომსახურებით • დიდი კულტურული შესაძლებლობები და თეატრების კარგი გამოყენება, და სხვ.	18 19 21 24 29 30 32 33 34 35 36 37 46 68 68 69 81 85	• ერთ მოსახლეზე მცირე საბიუჯეტო მხარდაჭერა • წყლის, ელექტროენერგიის და ქუჩის განათების არამდგრადი მიწოდება • მოსახლეობის რაოდენობის შემცირება • ჯანდაცვის , ელექტროენერგიისა და ტრანსპორტის დარგებში მომსახურებისათვის პროცენტულად შემოსავალთან მიმართებით მაღალი ფასები • სოფლისმოსახლეობის მხოლოდ 42% იყენებს ნარჩენების შეგროვების მომსახურებას • გაზით ნაწილობრივი მომარაგება და შეზღუდული ხელმისაწვდომობა ენერგო რესურსებზე მაღალმთიან ადგილებში • საკანალიზაციო სისტემის ხელმისაწვდომია მოსახლეობის მხოლოდ 52% -თვის • სასმელი წყალი მოსახლეობის მხოლოდ 64%-თვის და სოფლის მოსახლეობის მხოლოდ 34% -თვის • ზამთრის პერიოდში ელექტრო ენერგია მიეწოდება მოსახლეობის მხოლოდ 74% -ს • მოსახლეობის 45% -ს ხელი არ მიუწვდება საბავშვო ბაღებზე – მომსახურების ნაკლებობა • წყალდიდობების დროს სოფლის წყალგაყვანილობის სისტემების დაზიანება მაღალმთიან ადგილებში • მოსახლეობის დაბალი მსყიდველუნარიანობა განპირობებული დაბალი შემოსავალით რის გამოც მოსახლეობასმომსახურებებზე ან პროდუქციაზე დაბალი მოთხოვნაა აქვს • სოფლებამდე, საკურორტო და ტურისტულ ზონებამდე გზის არასათანადო ინფრასტრუქტურა • სოფლის ტერიტორიებზე არასათანადო ტურისტული ინფრასტრუქტურა • ადგილობრივი თემის ინტერესის ნაკლებობა დაიწყოს ბიზნესი არსებული რესურსების გამოყენებით • ნაკლები კვალიფიკაციის არსებობა ბიზნესის წარმოებასა და მომსახურებების მიწოდებაში	31 46 62 76 77 77 78 79 79 80 82 131 131 131 131 131
შესაძლებლობები	**#**	**საფრთხეები**	**#**
• ქვემოდან ზემოთ 'LEADER'-ის ინიციატივების შემუშავება სოფლის მეურნეობასა და სოფლის განვითარებაზე ყურადღების გამახვილების მიზნით • საბავშვო ბაღები სოფლებში გაიხსნა მცირე ფერმერთა ჯგუფების მახლობლად – აკმაყოფილებს ადგილობრივ საჭიროებას • კოოპერატივების, პროდუქციის ფართო სპექტრის, მარკეტინგისა და სოციალური ჯგუფების ჩამოყალიბება, მათ შორის ქალთა ჯგუფების, ახალგაზრდა ფერმერთა ჯგუფების, მცირე	32 80 117 129	• მოსახლეობის შემცირება ასუსტებს ეკონომიკურ ზრდას • მომსახურების მიწოდება სასოფლო ადგილებში კვლავ მცირდება მიზნობრივი პროგრამების ნაკლებობის გამო • ნარჩენებისგან და ქიმიური ნივთიერებებისგან დაბინძურება განაპირობებს საზოგადოების ჯანმრთელობის გაუარესებას • მწარმოებელი და მარკეტინგული ჯგუფების სიმცირის გამო მცირე ფერმებს არ აქვთ	62 77 86 108

წარმოებისა და მარკეტინგული ჯგუფების ჩამოყალიბება • ღონისძიებები ადგილობრივ დონეზე ჯანდაცვის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით		არჩევანი, გარდა იმისა, რომ გააგრძელონ საკუთარი შინამეურნეობის დაკმაყოფილება ბიზნეს საქმიანობაზე გადასვლის ნაცვლად.	

3: აჭარის სოფლის განვითარების ხედვა

1. აჭარის მისწრაფება გამოხატულია განაცხადში, რომელიც შეიმუშავა სოფლის განვითარების საბჭომ, რათა გამოეხატა თავისი ხედვა ინტეგრირებული სოფლის განვითარების შესახებ, რომელიც ეფუძნება ფონური ანალიზით გამოვლენილ აჭარის ძლიერ მხარეებს, შეუსაბამობებს და პოტენციალს (1-ლი დანართი).

2. აჭარა განსაკუთრებული ადგილია უნიკალური გეოგრაფიით და მიკრო კლიმატით, რომელსაც განაპირობებს მთის ზღვასთან სიახლოვე, მთიან ზონაში გაშენებულ ტყეებთან ახლოს მდებარე ფერდობები და ფართო ხედები.

3. ბუნებრივი და გაშენებული გარემო მრავალფეროვნია განსაკუთრებული ხარისხით და უმთავრესად გვხვდება სოფლის ტერიტორიებზე, , სამხრეთ-აღმოსავლეთში მდებარე ურბანული ბათუმისაგან დაშორებით. საერთაშორისო და ადგილობრივი შეფასებების მიხედვით გარემოს მდგომარეობა შეფასებულია მაღალი ხარისხით, მაგრამ ეს ვერ გადაფარავს იმ პრობლემებს, რომლებიც უკავშირდება განსაკუთრებული ლანდშაფტური ხასიათის შენარჩუნებას და არ უნდა უკუვაგდოთ ის საფრთხეები, რომლებიც ჰაბიტატებისა და სახეობების მრავალფეროვნებას ემუქრება როგორც დაცულ ტერიტორიებზე, ასევე მის გარეთ.

4. აჭარას მდიდარი მემკვიდრეობა აქვს ისტორიული ლანდშაფტისა და არქეოლოგიური მემკვიდრეობის თვალსაზრისით, რომელიც ადრეული ისტორიის იმ პერიოდს უკავშირდება, როდესაც ეს რეგიონი კოლხეთის ნაწილი იყო. ბერძნულ მითოლოგიაში კოლხეთი მედეას სამშობლოა და არგონავტების დანიშნულების ადგილი, „მიწა ზღაპრული სიმდიდრით და სასწაულების ადგილი“.

5. აჭარის ლანდშაფტი კომპლექსურია და ხასიათდება ციცაბო ფერდობების სიმრავლით, რაც ხელს უშლის სოფლის მეურნეობის განვითარებას. თუმცა რელიეფს, განსაკუთრებით ზღვისპირა ნაწილში, განსახლებისა და სამეურნეო საქმიანობისათვის დადებითი პირობები გააჩნია. სასოფლო-სამეურნეო სავარგულები აჭარის ტერიტორიის უმეტეს ნაწილს იკავებს. აჭარის მოსახლეობის 44.5% ცხოვრობს 333 სოფელში[6]. ქობულეთის, ქედის, შუახევის მუნიციპალიტეტების ტერიტორიების 95% და მეტი სასოფლო დასახლებებს წარმოადგენს. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვით მიღებული შემოსავლები მცირეა, თუმცა ის სოფლის მოსახლეობისათვის ერთ-ერთი ძირითადი შემოსავლის წყაროა.

6. სტიქიური მოვლენების სიხშირითაჭარა ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული რეგიონია საქართველოში. ხანგრძლივი და უხვი ნალექი, მათ შორის დიდთოვლობა, განაპირობებს წყალდიდობა/წყალმოვარდნების, მეწყერულ-ღვარცოფული პროცესების, თოვლის ზვავების და ამ სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებული ბუნებრივი კატასტროფების განმეორებას.. ზღვის სანაპირო ზოლში და მდინარეთა ნაპირების გასწვრივ ადგილი აქვს მიწის ეროზიას. აღნიშნული პროცესების გააქტიურება შეიმჩნევა ბოლო რამდენიმე ათეული წლის მანძილზე.

7. აჭარა მდებარეობს კავკასიის იმ ნაწილში, რომელიც ცნობილია როგორც „ცხელიწერტილი,“ სადაც მრავალფეროვანი ფლორა და ფაუნაა და 1,900-მდე სახეობა მოიპოვება. ფლორის 10%-ზე მეტს მერქნიანი მცენარეები შეადგენს, ხოლო ბალახოვნები ფლორის 86%-ზე მეტია. აჭარაში აღირიცხება ველურად მზარდი 1837 სახეობა, მათ შორის საქართველოს "წითელი ნუსხით" დაცულია 20-ზე მეტი სახეობა. აჭარაში გავრცელებულია სამკურნალო, ქრობადი და იშვიათი მცენარეების სახეები და ფაუნის წარმომადგენლები.

---

[6] *საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტი. მოსახლეობის პირველი საყოველთო აღწერა (საქართველოს სოფლების მოსახლეობა), 2002 წ. მე-2 ტომი, 2003*

8. აჭარის ტერიტორია ხასიათდება მრავალფეროვანი წყლის რესურსით და მოცავს მდინარეებს, ტბებს, ჭაობებსა და მიწისქვეშა წყლებს.

9. ბოლო საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით საქართველოს ქალაქის მოსახლეობამ 2,140,126 კაცი შეადგინა, ხოლო სოფლის მოსახლეობამ – 1,589,509 კაცი. შემცირება განიცადა სოფლის მოსახლეობამ (23,8%), მაგრამ ქალაქის მოსახლეობაც 6,3%-ით შემცირდა. 2015 წლის 1 იანვრის რეგისტრაციის მიხედვით აჭარის მოსახლეობის 44.5% ცხოვრობდა სოფლებში. ეს ყველაზე დაბალი მაჩვენებელია საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით და ოდნავ მეტია საქართველოს საერთო მაჩვენებელთან (42.6%) შედარებით.

10. ეკონომიკურად აჭარა ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი რეგიონია საქართველოში. რეგიონის მთლიანი დამატებული ღირებულება 2006-დან 2013-მდე 143%-ით გაიზარდა. 2013 წელს მთლიანი დამატებული ღირებულება აჭარაში ერთ სულ მოსახლეზე თბილისში არსებულ მაჩვენებელს 2-ჯერ აღემატებოდა, ხოლო 17%–ით აღემატება დანარჩენი საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელს. თბილისის შემდეგ აჭარა ყველაზე მიმზიდველი რეგიონია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის.

11. მთლიან დამატებულ ღირებულებაში შემცირდა სოფლის მეურნეობის, ნადირობისა და სატყეო მეურნეობის, თევზჭერისა და მეთევზეობის წილი აჭარაში. ყველაზე დიდი წილი მთლიან დამატებულ ღირებულებაში მომსახურების სექტორზე მოდის. სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა ყველაზე <u>უმნიშვნელოა</u> აჭარის ეკონომიკისათვის.

12. ბოლო 4 წლის განმავლობაში აჭარაში შინამეურნეობის საშუალო თვიური შემოსავლები (ფულადი და არაფულადი) 27.4%-ით გაიზარდა, მაშინ როცა საქართველოში ზრდამ 39.4% შეადგინა. ერთი შინამეურნეობის მხოლოდ საშუალო თვიური სამომხმარებლო ფულადი ხარჯი 575-670 ლარი იყო 2011-2014 წლებში. ამ ხარჯებში პროცენტულად ყველაზე დიდი წილი სურსათზე, სასმელზე, თამბაქოს ნაწარმზე მოდის თუმცა მისი ოდენობა ამ პერიოდში შემცირდა 42.6%-დან 36.3%-მდე.

13. კომუნიკაციების ძირითად საშუალებებზე ხელმისაწვდომობა დიდი პრობლემაა სასოფლო დასახლებებში, სადაც წყალი, ელექტროენერგია და გაზით მომარაგება სოფლის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე განსხვავებულია. მაღალმთიანი ადგილებში მოსახლეობა განსაკუთრებით მოკლებულია ამ მომსახურებებს. აღსანიშნავია აგრეთვე საკანალიზაციო სისტემების არასაკმარისობა.

14. აჭარაში გარემოს დაბინძურება ნარჩენებითა და ქიმიური ნივთიერებებით , ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, ერთ-ერთ ყველაზე დიდ გარემოსდაცვით პრობლემას წარმოადგენს; დაბინძურების ნაკადების და დამუშავების მართვის სფეროში არსებული ინფრასტრუქტურა არასათანადოა.

15. კლიმატის ცვლილების შედეგად აღინიშნება უფრო თბილი,ნალექიანი ზაფხული და შემოდგომა, ხოლო გაზაფხულისა და ზამთრის სეზონები უფრო ცივია. ამ ცვლილებებს ახლავს შესაძლებლობები და რისკები. ისეთ რეგიონში, სადაც საქართველოში ნალექი ყველაზე დიდი რაოდენობით მოდის, მოსალოდნელია ზვავების, წყალდიდობების და წყალმოვარდნების რაოდენობის ზრდა, ასევე არსებობს რისკი უფრო დიდი მასშტაბის მქონე მიწის და სანაპიროს ეროზიის წარმოქმნისა.

16. ხე-ტყის მასალის გარდა არსებობს ტყის რესურსების განვითარების პოტენციალი სხვა პროდუქციისათვის, კერძოდ, ტურიზმის, განსაკუთრებით კი ეკო ტურიზმის სექტორის განვითარებისათვის. სოფლის მეურნეობაში იდენტიფიცირებულია მაღალშემოსავლიანი კულტურები, რომელთაც აქვთ ზრდის პოტენციალი, მათ შორისაა ციტრუსი, თხილი და ხილი.

17. ამ პოტენციალის გამოსაყენებლად საჭიროა ტექნიკური და ბიზნეს რჩევები, ინვესტიციების განხორციელება ინოვაციურ ტექნოლოგიებში წარმოებისა და მოსვლის შემდგომი მართვის მიზნით, ასევე საჭიროა ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამები და ნათელი მარკეტინგული სტრატეგია. ამჟამად არსებული ფინანსური სექტორი არ ქმნის შესაბამის პროდუქტებს ფერმერებისათვის და იმ დრომდე, სანამ მიკრო საფინანსო ორგანიზაციები თავიანთ პროდუქტებს არ შეუსაბამებენ მომხმარებელთა საჭიროებებს, ეს ეკონომიკური ზრდისათვის მნიშვნელოვანი გამოწვევა იქნება.

18. არსებობს მთელი რიგი არასასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და მომსახურება, რომელთა განვითარებაც შესაძლებელია უფრო მდგრადი შემოსავლის წყაროს უზრუნველსაყოფად. ეს მოიცავს მოსავლის დასაწყობებას,გადამამუშავებელ საწარმოებს, ტურიზმს, ნერგებისა და სათესლე მასალის წარმოებას,სამკურნალო მცენარეებისაგან დამზადებული პროდუქციის წარმოებას. სოფლის განვითარების შესაბამისი მიზნობრივი პროგრამა შეიძლება კატალიზატორი აღმოჩნდეს ამ ზოგიერთი შესაძლებლობის განხორციელების დაწყების მიზნით.

19. მიწის მართვა მდგრადი და ინტეგრირებული გარემოს, სოციალური და ეკონომიკური განვითარების წამყვანი ძალაა აჭარისთვის, რომელიც განსაკუთრებული სასოფლო დასახელებების მქონე რეგიონია. სოფლის განვითარებაში ბალანსის მისაღწევად გამოყენებულ უნდა იქნას ინვესტიციების, სტიმულების, მხარდაჭერისა და რჩევების მიღების უზრუნველყოფის მექანიზმები ადგილობრივი ეკონომიკის, გარემოს და სოციალური სტრუქტურის ურთიერთდამოკიდებულების აღიარებით როგორც აჭარაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ და სხვა რეგიონებში, საერთაშორისო დონეზე. უზრუნველყოფის ამ მექანიზმებით აღიარებული იქნება კერძო და სახელმწიფო სექტორების,დონორების როლი,პარტნიორობის სარგებლიანობა.

20. ამდენად, ეს ხედვა შესაძლებლობას მისცემს ადამიანებს რეგიონში გაიუმჯობესონ თავიანთი ცხოვრების ხარისხი. ხედვის შესახებ ქვემოთ მოცემული განაცხადი შეთანხმებულია სოფლის განვითარების საბჭოსთან:

„აჭარის სასოფლო დასახლებებში მოსახლეობა სარგებლობს ცხოვრების ხარისხის მაღალი დონით
აქტიური, გამომგონებლური და მეწარმეობის უნარის მქონე სასოფლო თემების, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების, და სოფლის მეურნეობაზე დაფუძნებული დივერსიფიცირებული სოფლის მეურნეობის არსებობის შედეგად“

აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკა
გ უ რ ი ა
შავი
ზღვა
ს ა ქ ა ს ტ ა ნ ი
თ უ რ ქ ე თ ი

4: პრიორიტეტული მიზნები

1. აჭარის სოფლის განვითრების ხედვის განსახორციელებლად[7] სოფლის განვითარების საბჭომ განიხილა სოფლის ინტეგრირებული განვითარების 6 პრიორიტეტული მიზანი. აღნიშნული მიზნები წარმოდგენილია შემდეგი ქვესათაურების მიხედვით: *'ეკონომიკა', 'გარემოს დაცვა' და 'სოციალური'.* აღიარებულია მათ შორის მჭიდრო ურთიერთზეგავლენა.

ეკონომიკა:

1. ცოდნის გადაცემა,ინოვაციები სოფლის მეურნეობაში, სატყეო მეურნეობასა და სასოფლო ადგილებში
2. აჭარაში ფერმერული მეურნეობების ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობისა და ყველა ტიპის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება, ინოვაციური ფერმერული ტექნოლოგიების და ტყეების მდგრადი მართვის ხელშეწყობა
3. სურსათის ქსელის ორგანიზების ხელშეწყობა (მათ შორის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავება და მარკეტინიგი), ცხოველთა კეთილდღეობა,რისკების მართვა სოფლის მეურნეობასა და არასასოფლო-სამეურნეო სექტორებში

გარემოს დაცვა:

4. სოფლის მეურნეობასთან და მეტყევეობასთან დაკავშირებული ეკოსისტემების აღდგენა, კონსერვაცია და გაძლიერება
5. სოფლის მეურნეობის, სურსათის და სატყეო სექტორებში რესურსების ეფექტურობისა და ,დაბალნახშირბადიან,კლიმატის ზეგავლენისადმი მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე გადასვლის ხელშეწყობა

სოციალური

6. სოციალური ჩართულობის, სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა სასოფლო ადგილებში.

2. აჭარაში ამჟამად არსებული სიტუაციისა და SWOT-ის ანალიზის გათვალისწინებით, რომელიც ასახულია ფონურ შეფასებაში სოფლის განვითარების საბჭო ყურადღებას ამხვილებს შემდეგ საკითხებზე:

- ✓ **აჭარაში ფერმერული მეურნეობების ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობისა და ყველა ტიპის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება,ინოვაციური ფერმერული ტექნოლოგიების და ტყეების მდგრადი მართვის ხელშეწყობა,**

- ✓ **სოციალური ჩართულობის, სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა სასოფლო ადგილებში.**

[7] *ეს 6 მიზანი გამომდინარეობს ევროკავშირის სოფლის განვითარების პრიორიტეტებიდან, რომელსაც ითვალისწინებს 2013 წლის 17 დეკემბერს გამოქვეყნებული (ევროკავშირის) რეგულაცია № 1305/2013*

3. მიუხედავად იმისა, რომ ყურადღება გამახვილდება ზემოაღნიშნულ ორ პრიორიტეტზე, სტრატეგია არ გამორიცხავს სხვა დასახელებულ პრიორიტეტებსაც. ამის გათვალისწინება საჭიროა პროგრამის შემუშავების ეტაპზე. ამასთან, აჭარის სოფლის განვითარების მიზნების განსაზღვრისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფას ფართო გაგებით,აჭარასა და საქართველოში შემუშავებულ სხვა სტრატეგიებთან, განსაკუთრებით მუნიციპალური განვითარების გეგმებთან თავსებადობას. აღნიშნული პროგრამული გამოწვევების გამოცდა შესაძლოა პილოტური საქმიანობით, რომლის განხორციელებაც დაგეგმილია 2016 – 2020 წლებში.

5: ამოცანები, პოტენციური ღონისძიებები, შესაძლო საქმიანობები

1. აჭარის სოფლის განვითარების ხედვის უზრუნველყოფის პრიორიტეტების განსახორციელებლად სოფლის განვითარების საბჭომ განსაზღვრა მოკლევადიანი ამოცანები ექვსივე პრიორიტეტული მიზნის მიხედვით. ეს ამოცანები და შესაძლო საქმიანობები, რაც ასევე მითითებულია, ჩამოყალიბდა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. ასევე ჩამოთვლილია პოტენციური ღონისძიებები (განზრახული ინტერვენციების ზოგადი აღწერა), რომელიც ეფუძნება სოფლის განვითარების გეგმით გათვალისწინებულ ევროკავშირის იმ ღონისძიებებს, რომლებიც მთელი ევროკავშირის მასშტაბით ხორციელდება. თითოეულ ღონისძიების შემდეგ მითითებულია შესაბამისი მუხლი, რომელიც დაკავშირებულია ევროკავშირის რეგულაციით გათვალისწინებულ ღონისძიებებთან.[8]

1 მიზანი: ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ხელშეწყობა სოფლის მეურნეობაში, სატყეო მეურნეობასა და სასოფლო ადგილებში

1. **ამოცანები:**
   1. ინოვაციის, თანამშრომლობისა და ცოდნის ბაზის ჩამოყალიბების ხელშეწყობა სასოფლო ადგილებში
   2. გარემოს გაუმჯობესებული მართვისა და საქმიანობის შედეგების მიღწევის მიზნით კავშირის გაძლიერება სოფლის მეურნეობას, სურსათის წარმოებას, მეტყევეობას, კვლევასა და ინოვაციას შორის.
2. **პოტენციური ღონისძიებები:** (ფრჩხილებში მითითებულია ევროკავშირის რეგულაციის შესაბამისი მუხლები)
   1. ცოდნის გადაცემა და საინფორმაციო ღონისძიებები (14)
   2. საკონსულტაციო მომსახურებები, ფერმის მართვისა და ფერმის დახმარების მომსახურებები (15)
   3. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობა (35)
   4. LEADER-ის პროცესის ჩამოყალიბება (42 – 44)

3. **შესაძლო საქმიანობები:**
   1. აგრო მიმართულებით პროფესიული განათლების ცენტრების ხელმისაწვდომობისა და შესაბამისობის გაუმჯობესება თითოეულ მუნიციპალიტეტში (აგრო მომსახურების ცენტრების ერთეულებთან ერთად)
   2. აჭარაში ტრადიციული სოფლის მეურნეობის პროდუქტების მრავალფეროვნების დაცვა მათი სიის შედგენისა და თითოეული მათგანის მიმართ რისკის შეფასების განხორციელების გზით
   3. ზამთრის წლიური კონფერენციის მოწვევა, რომელზეც განხილული იქნება *აჭარაში სოფლის მეურნეობის მდგომარეობა და სოფლის განვითრება.* ამ ღონისძიებაზე ძირითად მოხსენებას გააკეთებს მინისტრი და განსაზღვრავს რეგიონის გამოწვევებსა და შესაძლებლობებს

[8] *ევროკავშირის რეგულაცია, № 1305/2013, 17 დეკემბერი, 2013 წ.*

4. ახალი ტექნოლოგიების დემონსტრირების მიზნით აჭარის ფერმერებისათვის ყოველწლიური *გაზაფხულის ბაზრობის* გამართვა (დონორებისა და დარგის საწარმოების მიერ დაფინანსებული)
5. აჭარის სოფლის მეურნეობის სექტორის ყველაზე პრიორიტეტულ 3-5 მიმართულებაში სადემონსტრაციო ფერმების (დონორთა, კერძო და სახელმწიფო სექტორის მიერ დაფინანსებული) ქსელის ჩამოყალიბება და უახლესი ტექნოლოგიების დემონსტრირება
6. სოფლისა და სატყეო მეურნეობით დასაქმებული სოფლის თემებისათვის კომუნიკაციის ინოვაციური საშუალებების პილოტირება
7. ინფორმაციის გაცვლისა და ინფორმირებულობის დონის გაზრდის მიზნით ცოდნის ქსელების ჩამოყალიბება, სასწავლო ტურების განხორციელება, საერთო ეროვნული და უცხოური პროგრამების შეხამება.

მე-2 მიზანი: აჭარაში ფერმერული მეურნეობების ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობისა და ყველა ტიპის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება, ინოვაციური ფერმერული ტექნოლოგიების და ტყეების მდგრადი მართვის ხელშეწყობა

1. ამოცანები:

1. ყველა მეურნეობის მართვისა და ეკონომიკური საქმიანობის შედეგების გაუმჯობესება, ფერმის რესტრუქტურიზაციისა და მოდერნიზაციის ხელშეწყობა განსაკუთრებით იმ მიზნით, რომ გაიზარდოს ბაზარზე მონაწილეების რაოდენობა და ორიენტაცია, ასევე მოხდეს სოფლის მეურნეობის დივერსიფიკაცია
2. სოფლის მეურნეობის სექტორში ადეკვატური უნარ-ჩვევების მქონე ფერმერების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, განსაკუთრებით თაობრივი განახლების ხელშეწყობა

4. პოტენციური ღონისძიებები: (ფრჩხილებში მითითებულია ევროკავშირის რეგულაციის შესაბამისი მუხლები)

1. საკონსულტაციო მომსახურებები, ფერმების მართვა და ფერმების დახმარების მომსახურებები (15)
2. ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამები სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და სურსათისათვის (16)
3. ინვესტიციები ფიზიკურ აქტივებში (17)
4. ფერმებისა და საწარმოების განვითარება (19)
5. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობა (35)
6. LEADER (42 – 44)

2. შესაძლო საქმიანობები:

1. ეკონომიკური შინაარსის ინფორმაციის მომზადება (ნაბეჭდი ფორმით და ინტერნეტში განთავსება) ფერმერული საწარმოების საქმიანობების შედეგების შესახებ, რათა ფერმერებმა მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილებები კულტურების მოყვანისა და პროდუქციის შენახვის შესახებ, რაც მათ საშუალებას მისცემს განავითარონ თავიანთი ბიზნესები ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი და მდგრადი მიმართულებით

2. კოოპერატივების შემდგომი განვითარების ხელშეწყობა მათი ფუნქციონირებისა და ფინანსური მართვის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებით
3. იმ პოტენციურად მაღალშემოსავლიანი საწარმოების ეკონომიკური დასაბუთებულობის წარმოდგენა, რომელიც აჭარის მახასიათებელია, მაგრამ ჯერ არ განხილულა. (მაგ. ბოთლებში ჩამოსხმული წყალი, ყველი, ღვინო, ჭაჭა, ხილის წვენები, სამკურნალო მცენარეები)
4. საინფორმაციო პაკეტის შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს მომარაგების ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებას პირველადი ბაზიდან
5. ფერმებში ახალი ტექნოლოგიების გამოყენების გაზრდა
6. კერძო დასახელმწიფო სექტორის პარტნიორობით მუნიციპალურ დონეზე შეგროვების ცენტრების (საბითუმო ბაზრის) ჩამოყალიბების შესაძლებლობის შეფასება
7. ტექნოლოგიური ცენტრის ჩამოყალიბების ხელშეწყობა, რომელიც მოემსახურება მცირე და საშუალო ზომის მწარმოებლებს
8. ფერმერთა წლიურ გამოკითხვაში მათი მონაწილეობის ხელშეწყობა, აჭარაში ფერმერული მეურნეობების ნეტო შემოსავალის მათი ზომისა და მეურნეობების მიხედვით დადგენა

მე-3 მიზანი: სურსათის ქსელის ორგანიზების ხელშეწყობა (მათ შორის სასოფლო-სამეურნეოპროდუქციის გადამუშავება და მარკეტინიგი), ცხოველთა კეთილდღეობა და რისკების მართვა სოფლის მეურნეობასა და არასასოფლო-სამეურნეო სექტორებში

1. **ამოცანები:**
    1. პირველადი მწარმოებლების კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საწარმოო ჯაჭვში მათი უკეთესი ინტეგრაციით ხარისხის უზრუნველყოფის სისტემებში ჩართვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავების, ადგილობრივ ბაზრებზე გასვლის ხელშეწყობის, მიწოდების უფრო მცირე ჯაჭვის ჩამოყალიბების, და მწარმოებელთა ჯგუფის საქმიანობის განხორციელების მეშვეობით.
    2. ფერმის რისკების მართვაში მხარდაჭერა.

2. **პოტენციური ღონისძიებები:** (ფრჩხილებში მითითებულია ევროკავშირის რეგულაციის შესაბამისი მუხლები)
    1. საკონსულტაციო მომსახურებები, ფერმის მართვა და ფერმის დახმარების მომსახურებები (15)
    2. ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამები სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და სურსათისათვის (16)
    3. ინვესტიციები ფიზიკურ აქტივებში (17)
    4. ბუნებრივი და კატასტროფული მოვლენების შედეგად დაზიანებული სოფლის მეურნეობის წარმოების პოტენციალის აღდგენა და პრევენციის შესაბამისი ღონისძიებების შემოღება (18)
    5. ტყეების დაცვა ხანძრის გაჩენისაგან, ბუნებრივი და კატასტროფული მოვლენების შედეგად დაზიანებული ტყეების აღდგენა (24)
    6. მწარმოებელთა ჯგუფების ჩამოყალიბება (27)
    7. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობა (35)
    8. რისკების მართვა (36)
    9. მოსავლის, ცხოველთა და მცენარეთა დაზღვევა (37)

3. **შესაძლო საქმიანობები:**
    1. საბაზრო ინფორმაციის, მათ შორის შეფუთვისა და ხარისხის მოთხოვნების შემუშავება (ნაბეჭდი სახით და ინტერნეტში) მაღალპრიორიტეტული გადამუშავებული კულტურებისათვის აჭარაში
    2. ხარისხის ბრენდის შექმნა აჭარაში წარმოებული პროდუქტისათვის
    3. ბათუმში სურსათის იმპორტ-ექსპორტის ჰაბის ჩამოყალიბების ეკონომიკური დასაბუთებულობის შემუშავება ადგილობრივ (და მთელი ქვეყნის მასშტაბით) მწარმოებელ ჯგუფებთან კავშირში
    4. ადგილობრივი მწარმოებლების და წარმოების საშუალებების მომწოდებლების ქსელის მონაცემთა ბაზის ჩამოყალიბება სექტორებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით და მათი დაკავშირება საინფორმაციო ტექნოლოგიებით (მათ შორის სოციალური მედიის საშუალებებით)
    5. *აჭარის სოფლის განვითარების* ვებგვერდის შექმნა. ის იქნება ინფორმაციის წყარო, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება სოფლის განვითარების

მარეგულირებელი კანონმდებლობის, მარეგულირებელი წესებისა და შესაძლებლობების გაცნობა.

6. აჭარის პირობების შესაბამისი მცირე ბიზნესის მოდელის შემუშავება, რამაც შესაძლოა მიმართულება მისცეს მცირე ბიზნესის განვითარებას
7. მოსავალის, კერძოდ ფერმერულ მეურნეობებში, ფერმაში შენახვის შესაძლებლობების გაზრდა
8. აჭარაში ხორცის გადამამუშავებელი საწარმოს ჩამოყალიბების ეკონომიკური დასაბუთებულობის შემუშავება
9. მუნიციპალიტეტებისათვის მცირე ფერმერთა ბაზრის მოდელის შემუშავება, რითაც ისინი ისარგებლებენ მუნიციპალიტეტის ფარგლებში სოფლებიდან პროდუქტების რეალიზების ორგანიზებისათვის
10. აჭარის პროდუქციისათვის *ხარისხის უზრუნველყოფის* სტანდარტების შემუშავების შესაძლებლობების გაძლიერება (მაგ. **გლობალური** *სოფლის მეურნეობის სათანადო პრაქტიკა* (GLOBAL GAP),*საფრთხის ანალიზი და კრიტიკული საკონტროლო წერტილების* (HACCP) სისტემების შემოღება)
11. ბიზნესის განვითარების სამსახურების გახსნა და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა არასასოფლო-სამეურნეო დამწყები ბიზნესებისათვის სოფელ დასახლებებში

მე-4 მიზანი: სოფლის მეურნეობასთან და მეტყევეობასთან დაკავშირებული ეკოსისტემების აღდგენა, კონსერვაცია და გაძლიერება

1. **ამოცანები:**
   1. ბიომრავალფეროვნების აღდგენა, კონსერვაცია და გაუმჯობესება
   2. წყლის მართვის (პესტიციდებისა და სასუქების მართვა) გაუმჯობესება,მიწის ეროზიის პრევენცია,მიწის მართვის გაუმჯობესება

2. **პოტენციური ღონისძიებები:** (ფრჩხილებში მითითებულია ევროკავშირის რეგულაციის შესაბამისი მუხლები)

   1. საკონსულტაციო მომსახურებები, ფერმის მართვისა და ფერმის დახმარების მომსახურებები (15)
   2. ინვესტიციები ფიზიკურ აქტივებში (17)
   3. ბუნებრივი და კატასტროფული მოვლენების შედეგად დაზიანებული სოფლის მეურნეობის წარმოების პოტენციალის აღდგენა და პრევენციის შესაბამისი ღონისძიებების შემოღება (18)
   4. ტყის გაშენება და ტყის შექმნა (21.1-a)
   5. აგრომეტყევეობის სისტემების ჩამოყალიბება (21.1-b)
   6. ინვესტიციების განხორციელება ტყის ეკოსისტემების, მედეგობისა და გარემოსდაცვითი ღირებულების დასაცავად, ასევე პრობლემების შერბილების პოტენციალის გაუმჯობესება (21.1-d)
   7. ტყეების დაცვა ხანძრის გაჩენისაგან, ბუნებრივი და კატასტროფული მოვლენების შედეგად დაზიანებული ტყეების აღდგენა (24)
   8. აგრო-გარემოს დაცვა-კლიმატი (28)
   9. ორგანული ფერმერული მეურნეობები (29)

10. იმ ფერმერებისათვის ფინანსური დახმარების გაწევა, რომელთა წინაშეც არსებობს ბუნებრივი ან სხვა სპეციფიკური შეზღუდვები (31-32)
11. სატყეო-გარემოსდაცვითი და კლიმატის შესახებ მომსახურებები,კონსერვაცია (34)

3. შესაძლო საქმიანობები:

1. ეკო და სასოფლო ტურიზმის განვითარება, დაფინანსების ნაკადების შექმნა ეკოსისტემის გაძლიერებისა და მხარდაჭერისათვის
2. ტყის რესურსების შესახებ ყველა ინფორმაციის ასახვა (მონაცემთა ბაზა)
3. მცენარეთა დარგვის ხელშეწყობის მიზნით პრიორიტეტული ტერიტორიების მუნიციპალურ დონეზე განსაზღვრა
4. ინფორმირებულობის დონის გაზრდა, ორგანული პროდუქციის წარმოების დაწყებისა და მოცულობის გაზრდა

მე-5 მიზანი: რესურსების ეფექტურობის ხელშეწყობა,დაბალნახშირბადიან და კლიმატის ზეგავლენისადმი მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე გადასვლის ხელშეწყობა სოფლის მეურნეობის, სურსათის და სატყეო სექტორებში.

1. **ამოცანები:**
    1. სოფლის მეურნეობის სექტორის მიერ წყლის მოხმარების ეფექტურობის გაუმჯობესება
    2. სოფლის მეურნეობის და სურსათის გადამამუშავებელი საწარმოების მიერ ენერგიის მოხმარების ეფექტურობის გაუმჯობესება
    3. ენერგიის განახლებადი წყაროების მომარაგებისა და თანმდევი პროდუქტების, ნარჩენების და სხვა არასასურსათო ნედლეული მასალის ნარჩენების მოხმარების ხელშეწყობა ბიოეკონომიკის მიზნებისათვის

2. **პოტენციური ღონისძიებები:** (ფრჩხილებში მითითებულია ევროკავშირის რეგულაციის შესაბამისი მუხლები)
    1. საკონსულტაციო მომსახურებები, ფერმის მართვისა და ფერმის დახმარების მომსახურებები (15)
    2. ინვესტიციები ფიზიკურ აქტივებში (17)
    3. ბუნებრივი და კატასტროფული მოვლენების შედეგად დაზიანებული სოფლის მეურნეობის წარმოების პოტენციალის აღდგენა და პრევენციის შესაბამისი ღონისძიებების შემოღება (18)
    4. ტყის გაშენება და ტყის შექმნა (21.1-a)
    5. აგრომეტყევეობის სისტემების ჩამოყალიბება (21.1-b)
    6. ინვესტიციების განხორციელება ტყის ეკოსისტემების, მედეგობისა და გარემოსდაცვითი ღირებულების დასაცავად, ასევე პრობლემების შერბილების გაუმჯობესება (21.1-d)
    7. ტყეების დაცვა ხანძრის გაჩენისაგან,ბუნებრივი და კატასტროფული მოვლენების შედეგად დაზიანებული ტყეების აღდგენა (24)
    8. აგრო-გარემოს დაცვა-კლიმატი (28)
    9. ორგანული ფერმერული მეურნეობები (29)
    10. იმ ფერმერებისათვის ფინანსური დახმარების გაწევა, რომელთა წინაშეც არსებობს ბუნებრივი ან სხვა სპეციფიკური შეზღუდვები (31-32)
    11. სატყეო-გარემოსდაცვითი და კლიმატის შესახებ მომსახურებები,კონსერვაცია (34)

3. **შესაძლო საქმიანობები:**
    1. *სოფლის მეურნეობის სათანადო პრაქტიკის* ხელშეწყობა (GAP)
    2. მცირე მასშტაბის/მიკრო ჰიდრო-ელექტრო სადგურების სისტემების შემუშავება
    3. განახლებადი ენერგიის (ბიომასა, & AD) სისტემების შემუშავება სოფლის დონეზე
    4. ინფორმაციის შემუშავება, მწვანე ტექნოლოგიის მხარდაჭერა და გაძლიერება

მე-6 მიზანი: სოციალური ჩართულობის და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა სასოფლო ადგილებში

1. **ამოცანები:**
    1. დივერსიფიკაციის, მცირე საწარმოების ჩამოყალიბებისა და განვითარების, ასევე სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა
    2. ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა სასოფლო ადგილებში
    3. საინფორმაციო და კომუნიკაციის ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის, მოხმარების ხარისხის გაზრდა

2. **პოტენციური ღონისძიებები:** (ფრჩხილებში მითითებულია ევროკავშირის რეგულაციის შესაბამისი მუხლები)
    1. ცოდნის გადაცემა და საინფორმაციო ღონისძიებები (14)
    2. საკონსულტაციო მომსახურებები, ფერმის მართვისა და ფერმის დახმარების მომსახურებები (15)
    3. ინვესტიციები ფიზიკურ აქტივებში (17)
    4. ფერმებისა და საწარმოების განვითარება (19)
    5. ძირითადი მომსახურებები და სოფლის განახლება სასოფლო ადგილებში (20)
    6. მწარმოებელთა ჯგუფის ჩამოყალიბება (27)
    7. თანამშრომლობა(კოოპერაცია) (35)
    8. LEADER (42-44)

3. **შესაძლო საქმიანობები:**
    1. ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფების (LAGs) მუშაობის წარმოდგენა, , თუ როგორ ხდება მათი ჩამოყალიბება, ფუნქციონირება და რა სარგებელი მოაქვთ მათ
    2. მუნიციპალურ, სოფლისა და სექტორის დონეზე ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფების ჩამოყალიბება და მხარდაჭერა
    3. ტურისტული პროდუქტების და მომსახურებების ჯაჭვის ჩამოყალიბება სოფელ ადგილებში
    4. შესაძლებლობებთან დაკავშირებული პროგრამის შემუშავება მუნიციპალურ დონეზე, რის შედეგადაც მივიღებთ მომზადებული ფასილიტატორების კადრებს, რომელთაც შეეძლებათ პოტენციური შესაძლებლობების და ფინანსური ალტერნატიული ვარიანტების შეფასება სასოფლო ტურიზმის განვითარებისათვის
    5. ადგილობრივი ტურიზმის მომწოდებლების სისტემისა და პოტენციური მომხმარებლების მონაცემთა ბაზის ჩამოყალიბება მუნიციპალიტეტის და სოფლის დონეზე და მათი დაკავშირება საინფორმაციო და ტექნოლოგიური საშუალებებით (მათ შორის სოციალური მედიის საშუალებები) – რომელიც ასევე დაკავშირებული იქნება *დანიშნულების ადგილების მარკეტინგის ორგანიზაციასთან* (DMO)
    6. სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარება (რეგიონალური განვითარების გეგმებთან კავშირში)

6: ღონისძიებების ზეგავლენა და მოსალოდნელი შუალედური შედეგები

1. ქვემოთ წარმოდგენილ 1-ელ ცხრილში მოცემულია ღონისძიებების მოსალოდნელი ზეგავლენა, ხოლო ინდიკატორული შუალედური შედეგები მითითებულია იმ ღონისძიებების გასწვრივ, რომელიც შემუშავებულ იქნა ამოცანების მისაღწევად და პრიორიტეტული მიზნების შესრულების მიზნით. ინდიკატორული საბოლოო შედეგები გამოყენებულ იქნება სამოქმედო გეგმის შემუშავებისას. დეტალური განხილვის შემდეგ ქვემოთ მოცემული ღონისძიებები და მოსალდოენლი შუალედური შედეგები მოიწონა სოფლის განვითარების საბჭომ.

1-ლი ცხრილი: მიზნების დაკავშირება შუალედურ შედეგებთან

მიზანი	**ამოცანები**	**პოტენციური ღონისძიება**	**ინდიკატორული შუალედური შედეგები (გაზომვადი)**
1-ლი მიზანი: ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ხელშეწყობა სოფლის მეურნეობაში, სატყეო მეურნეობასა და სასოფლო ადგილებში	ინოვაციის, თანამშრომლობისა და ცოდნის ბაზის ჩამოყალიბების ხელშეწყობა სასოფლო ადგილებში	ცოდნის გადაცემა და საინფორმაციო ღონისძიებები საკონსულტაციო მომსახურებები, ფერმის მართვისა და ფერმის დახმარების მომსახურებები თანამშრომლობა(კოოპერაცია) LEADER	→ უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობების გაზრდა → ჩამოყალიბებული სადისკუსიო ჯგუფების / სადემონსტრაციო ადგილების რაოდენობა → ბიზნესის საქმიანობის გაუმჯობესება ახალი ტექნოლოგიების გამოყენების გზით → მოსავლიანობის გაზრდა → ნედლეული მასალის მოცულობის ზრდა და გადამუშავება → გაყიდვების დონისა და სოფლის შემოსავლების ზრდა
	კავშირის გაძლიერება სოფლის მეურნეობას, სურსათის წარმოებას, მეტყევეობას,კვლევასა და ინოვაციას შორის, მათ შორის გარემოს გაუმჯობესებული მართვისა და საქმიანობის შედეგების მიღწევის მიზნით		
მე-2 მიზანი: აჭარაში ფერმერული მეურნეობების ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობისა და ყველა ტიპის სასოფლო სამეურნეო საქმიანობის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება, ფერმებისათვის ინოვაციური ტექნოლოგიების, ტყეების მდგრადი მართვის ხელშეწყობა	ყველა ფერმის მართვისა და ეკონომიკური საქმიანობის შედეგების გაუმჯობესება, ფერმის რესტრუქტურიზციისა და მოდერნიზაციის ხელშეწყობა განსაკუთრებით იმ მიზნით, რომ გაიზარდოს ბაზრის მონაწილეების რაოდენობა და	საკონსულტაციო მომსახურებები, ფერმის მართვისა და ფერმის დახმარების მომსახურებები ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამები სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და სურსათისათვის ინვესტიციები ფიზიკურ აქტივებში	→ უფრო მაღალი ხარისხის პროდუქციის გაყიდვის შედეგად გაყიდვების ზრდა → ხარისხის უზრუნველყოფის შემოღებული პროგრამების რაოდენობა

	ბაზარზე ორიენტაცია, ასევე სოფლის მეურნეობის დივერსიფიკაცია	ფერმებისა და საწარმოების განვითარება თანამშრომლობა(კოოპერაცია)	→ ინვესტიციის მოცულობა ინფრასტრუქტურაში პრიორიტეტული სექტორების ხელშესაწყობად (როგორც ეს სოფლის განვითარების SWOT-შია წარმოდგენილი) ბიზნეს გეგმების საფუძველზე → LEADER-ის ჩამოყალიბებული ჯგუფების რაოდენობა
	სოფლის მეურნეობის სექტორში ადექვატური უნარ-ჩვევების მქონე ფერმერების გაჩენის ხელშეწყობა, განსაკუთრებით თაობრივი განახლების ხელშეწყობა	LEADER	
მე-3 მიზანი: სურსათის ქსელის ორგანიზებისა და რისკების მართვის ხელშეწყობა სოფლის მეურნეობაში	პირველადი მწარმოებლების კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საწარმოო ჯაჭვში მათი უკეთესი ინტეგრაციით ხარისხის უზრუნველყოფის სისტემებში ჩართვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავების, ადგილობრივ ბაზრებზე გასვლის ხელშეწყობის, მიწოდების უფრო მცირე ჯაჭვის ჩამოყალიბების და მწარმოებელთა ჯგუფის საქმიანობის განხორციელების მეშვეობით	საკონსულტაციო მომსახურებები, ფერმის მართვისა და ფერმის დახმარების მომსახურებები ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამები სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და სურსათისათვის ინვესტიციები ფიზიკურ აქტივებში ბუნებრივი და კატასტროფული მოვლენების შედეგად დაზიანებული სოფლის მეურნეობის წარმოების პოტენციალის აღდგენა და პრევენციის შესაბამისი ღონისძიებების შემოღება ტყეების დაცვა ხანძრის გაჩენისაგან, ბუნებრივი და კატასტროფული მოვლენების შედეგად დაზიანებული ტყეების აღდგენა მწარმოებელთა ჯგუფების ჩამოყალიბება თანამშრომლობა(კოოპერაცია) რისკების მართვა კულტურათა, ცხოველთა და მცენარეთა დაზღვევა	→ წარმოების შესაძლებლობების გაზრდა → ამინდის ბუნებრივი მოვლენების ზეგავლენის შემცირება → რისკის მართვის ნათელი გეგმები → პრევენციის ადგილობრივი ღონისძიებები ხანძრის გაჩენის წინააღმდეგ, მათ შორის ბალახის მაძოვარი ცხოველების გამოყენება → ტყის ხანძრის მონიტორინგის საშუალებები და კომუნიკაციის ტექნიკური საშუალება → მწარმოებელთა ახალი ჯგუფების რაოდენობა → ჯგუფების მიერ ჩამოყალიბებული საერთო წესები, მათ შორის გაყიდვებისათვის მომზადება, გაყიდვების ცენტრალიზაცია და საბითუმო შემსყიდველ-ებისათვის მიწოდება
	ფერმის რისკების მართვაში მხარდაჭერა		
მე-მე-4 მიზანი: სოფლის მეურნეობაზე და სატყეო მეურნეობაზე დამოკიდებული ეკოსისტემების აღდგენა,	სოფლის მეურნეობასთან და მეტყევეობასთან დაკავშირებული ეკოსისტემების	საკონსულტაციო მომსახურებები, ფერმის მართვისა და ფერმის დახმარების მომსახურებები	→ ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმების რაოდენობა

კონსერვაცია და გაუმჯობესება	აღდგენა, კონსერვაცია და გაძლიერება	ინვესტიციები ფიზიკურ აქტივებში ბუნებრივი და კატასტროფული მოვლენების შედეგად დაზიანებული სოფლის მეურნეობის წარმოების პოტენციალის აღდგენა და პრევენციის შესაბამისი ღონისძიებების შემოღება ტყის გაშენება და ტყის შექმნა აგრომეტყევეობის სისტემების ჩამოყალიბება ინვესტიციების განხორციელება ტყის ეკოსისტემების მედეგობისა და გარემოსდაცვითი ღირებულების, ასევე შერბილების პოტენციალის გასაუმჯობესებლად ტყეების დაცვა ხანძრის გაჩენისაგან, ბუნებრივი და კატასტროფული მოვლენების შედეგად დაზიანებული ტყეების აღდგენა აგრო-გარემოს დაცვა-კლიმატი ორგანული ფერმერული მეურნეობები იმ ფერმერებისათვის ფინანსური დახმარების გაწევა, რომელთა წინაშეც არსებობს ბუნებრივი ან სხვა სპეციფიკური შეზღუდვები სატყეო-გარემოსდაცვითი და კლიმატის შესახებ მომსახურებები და კონსერვაცია	→ ახალი ტყის ტერიტორიის გაზრდა → ეკო და სასოფლო ტურიზმის პროექტების რაოდენობის გაზრდა → მუნიციპალურ დონეზე ხეების დარგვისათვის პრიორიტეტული ადგილების განსაზღვრა → მიწის და წყლის მართვის გეგმების რაოდენობა → ინფორმირებულობის დონის გაზრდა, ორგანული პროდუქციის წარმოების დაწყებისა და მოცულობის ზრდა
	წყლის მართვის (პესტიციდებისა და სასუქების მართვა) გაუმჯობესება, მიწის ეროზიის პრევენცია და მიწის მართვის გაუმჯობესება		
მე-5 მიზანი: რესურსების ეფექტურობის ხელშეწყობა და დაბალნახშირბადიან, კლიმატის ზეგავლენისადმი მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე გადასვლის ხელშეწყობა სოფლის მეურნეობის, სურსათის და სატყეო სექტორებში	სოფლის მეურნეობის სექტორის მიერ წყლის მოხმარების ეფექტურობის გაუმჯობესება	საკონსულტაციო მომსახურებები, ფერმების მართვა და ფერმების დახმარების მომსახურებები ინვესტიციები ფიზიკურ აქტივებში ბუნებრივი და კატასტროფული მოვლენების შედეგად დაზიანებული სოფლის მეურნეობის	→ განახლებადი ენერგიის პროექტების რაოდენობა → მიწის ტერიტორიების ზრდა, რომლის ორგანული მართვა ხორციელდება → ენერგიის სათემო პროექტების რაოდენობა
	სოფლის მეურნეობის და სურსათის		

	გადამამუშავებელი საწარმოების მიერ ენერგიის მოხმარების ეფექტურობის გაუმჯობესება	წარმოების პოტენციალის აღდგენა და პრევენციის შესაბამისი ღონისძიებების შემოღება ტყის გაშენება და ტყიანი ადგილის შექმნა აგრომეტყევეობის სისტემების ჩამოყალიბება ინვესტიციების განხორციელება ტყის ეკოსისტემების მედეგობისა და გარემოსდაცვითი ღირებულების, ასევე შერბილების პოტენციალის გასაუმჯობესებლად ტყეების დაცვა ხანძრის გაჩენისაგან, ბუნებრივი და კატასტროფული მოვლენების შედეგად დაზიანებული ტყეების აღდგენა აგრო-გარემოს დაცვა-კლიმატი ორგანული ფერმერული მეურნეობები იმ ფერმერებისათვის ფინანსური დახმარების გაწევა, რომელთა წინაშეც ბუნებრივი ან სხვა სპეციფიკური შეზღუდვები არსებობს სატყეო-გარემოსდაცვითი და კლიმატის შესახებ მომსახურებები და კონსერვაცია	→ ინფორმირებულობის დონის გაზრდა, ორგანული პროდუქციის წარმოების დაწყებისა და მოცულობის ზრდა → მიწის და წყლის მართვის გეგმების რაოდენობა → სასუქების გამოყენების მართვის გეგმების რაოდენობა
	ენერგიის განახლებადი წყაროების მომარაგებისა და თანმდევი პროდუქტების, ნარჩენების და სხვა არასასურსათო ნედლეული მასალის ნარჩენების მოხმარების ხელშეწყობა ბიოეკონომიკის მიზნებისათვის		
მე-6 მიზანი: სოციალური ჩართულობის, სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობასასოფლო ადგილებში.	დივერსიფიკაციის, მცირე საწარმოების ჩამოყალიბებისა და განვითარების, ასევე სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა	ცოდნის გადაცემა და საინფორმაციო ღონისძიებები საკონსულტაციო მომსახურებები, ფერმის მართვისა და ფერმის დახმარების მომსახურებები ინვესტიციები ფიზიკურ აქტივებში ფერმებისა და საწარმოების განვითარება ძირითადი მომსახურებები და სოფლის განახლებასასოფლო ადგილებში	→ ჩამოყალიბებული ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფების რაოდენობა → შემუშავებული ადგილობრივი სტრატეგიული გეგმების რაოდენობა → დაფინანსებული სათემო პროექტების რაოდენობა
	ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა სასოფლო ადგილებში		
	საინფორმაციო და კომუნიკაციის ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის,		

	მოხმარების და ხარისხის გაზრდა	მწარმოებელთა ჯგუფის ჩამოყალიბება თანამშრომლობა (კოოპერაცია) LEADER	→ ჩამოყალიბებული მწარმოებელთა და სოციალური ჯგუფების რაოდენობა → საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების ზრდა → ინვესტიციების შედეგად სოფლების შემოსავლების ზრდა → უკიდურესი სიღარიბის დონის შემცირება

7: ეროვნული, მუნიციპალური და სექტორების განვითარების გეგმების ჰარმონიზების მექანიზმები

1. ეროვნული, მუნიციპალური და სექტორების განვითარების გეგმების ჰარმონიზების ძირითად მექანიზმად მოისაზრება სოფლის განვითარების საბჭო, რომელიც 2015 წლის 25 სექტემბერს ჩამოყალიბდა. საბჭო შედგება 23 წევრისგან, რომლებიც წარმოადგენენ ადგილობრივ და რეგიონალურ მთავრობას, სავაჭრო პალატას, ადგილობრივ სამინისტროებს, არასამთავრობო და საერთაშორისო განვითარების ორგანიზაციებს.

2. საბჭოს მოვალეობაა მჭიდროდ ითანამშრომლოს UNDP-ის და ევროკავშირის დელეგაციებთან საქართველოში, რათა უზრუნველყოს აჭარაში სოფლის განვითარების სტრატეგიის ჩამოყალიბება.

3. საბჭოს დაუბრკოლებელი ფუნქციონირების ხელშეწყობისათვის აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო უზრუნველყოფს ყველა სახის ადმინისტრაციულ, სამართლებრივ და მატერიალურ/ტექნიკურ მხარდაჭერას, რომელიც საბჭოს ჭირდება ზემოაღნიშნულ სტრატეგიაზე სამუშაოდ.

4. საბჭოს მიზანია მოამზადოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების რეგიონული სტრატეგია. საბჭო თავის საქმიანობაში იხელმძღვანელებს საქართველოს კონსტიტუტციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით, საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებით და მისი სადამფუძნებლო დებულებით.

5. ქვემოთ წარმოდგენილი საბჭოს სტრუქტურა შედგება თავმჯდომარისა და საბჭოს წევრებისაგან. წევრები შერჩეულნი არიან იმდაგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას ინფორმაციის მიღება მუნიციპალურ და რეგიონალურ დონეზე არსებული პერსპექტივების შესახებ და უზრუნველყოფილ იქნას, რომ სოფლის განვითარების გეგმა შეესაბამებოდეს და ავსებდეს მუნიციპალური განვითარების გეგემებს და შეიცავდეს დამატებით ღონისძიებებს, ასევე - სხვა რეგიონალურ და ეროვნულ პროგრამებს, რათა თავიდან იქნას აცილებული პარალელური ღონისძიებები და გამოყენებულ იქნას სინერგიის ეფექტი.

დიაგრამა 1. აჭარის არ სოფლის განვითარების საბჭოს სტრუქტურა

8: პროგრამების, სისტემის შემუშავება და სამოქმედო გეგმის შედგენა

1. ქვემოთ მოცემულ მე-2 დიაგრამაში მოცემულია ყველა იმ ეტაპის შეჯამება, რომელიც საჭიროა სოფლის განვითარების ხედვის განსახორციელებლად და ადგილობრივ დონეებზე შედეგების მისაღწევად. წარმოდგენილ ოთხ ეტაპს შორის გარკვეული ხარისხით მოხდება გადაფარვა, პროცესი ითვალისწინებს სხვადასხვა ორგანიზაციებიდან და დაინტერესებული მხარეებიდან მიღებული მოსაზრებების გათვალისწინებას სხვადასხვა ეტაპზე. მნიშვნელოვანია არსებობდეს პროგრამის მართვის შესაძლებლობები და პროექტის მართვის გამოცდილება, რათა სათანადოდ განხორციელდეს პროგრამის ნაწილები. ეს განსაკუთრებით რელევანტურია აჭარის ა/რ-თან მიმართებით, რადგან მას მიზნად აქვს დასახული სოფლის განვითარების პირველი სტრატეგიის შემუშავება.



დიაგრამა 2: სტრატეგია და განხორციელების ეტაპები

2. **განხორციელებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ამოცანები:**

→ პროგრამირების ეტაპზე საჭირო იქნება ინდივიდუალური პირებისა და ჯგუფების მობილიზება, რომელთაც კარგად ესმით, თუ რა მუშაობს ადგილობრივ დონეებზე, რათა შეთანხმებული ამოცანები გარდაიქმნას ადგილზე განსახორციელებელ ისეთ ღონისძიებებად, რომელთა შედეგად მიიღება შუალედური და საბოლოო შედეგები.

→ როდესაც დაზუსტდება, თუ რა უნდა განხორციელდეს ადგილზე იმისათვის, რომ შუალედური შედეგები იქნეს მიღწეული, განისაზღვრება შესაძლო ღონისძიებების, საშუალებებისა და მიზნობრივი ინტერვენციის ღონისძიებების სია, რომელთა შემუშავებაც შესაძლებელია პროგრამების სახით

→ შესაბამისი ღონისძიებების ჩამონათვალის განსაზღვრის და **დროის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში ხელმისაწვდომი ბიუჯეტის საკითხის შესახებ სიცხადის შეტანის შემდეგ**

განხორციელების ეტაპი მოიცავს პროგრამების შემუშავებას და ინდიკატორული მაჩვენებლების განსაზღვრას ხელშეკრულებების (პროგრამები და პროექტები) რაოდენობისა და ბენეფიციართა რაოდენობის მხრივ. ამ ეტაპზე შესაძლოა ასევე არსებობდეს რაიმე ტერიტორიული ელემენტის (მაგ. სამიზნე/ფოკუს არეალი/მაღალმთიანი ადგილი/დაბლობი/სოფელი, და სხვ.) განსაზღვრის საჭიროება [პროგრამებისა და პროექტებისათვის]

→ საბოლოო შედეგების ეტაპი მოიცავს პროგრამის ამოქმედებას (მარკეტინგის და ხელშეწყობის საქმიანობა), რომლის შედეგად მიიღება შუალედური შედეგები ბენეფიციარებისათვის (ფინანსური სახსრები, ტექნიკური რჩევა, და სხვ.) და რაც მიგვიყვანს ადგილობრივ დონეზე საქმიანობის დაწყებამდე და გამიზნული საბოლოო შედეგის მიღებამდე. აღნიშნული შუალედური და საბოლოო შედეგები უნდა შეფასდეს და აღირიცხოს იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს მონიტორინგისა და შეფასების სისტემის მოთხოვნები.

1. ზემოაღნიშნული პროცესის კოორდინირებისა და მართვის მიზნით, სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე ზედამხედველობისათვის, საჭირო იქნება დისციპლინირებული მიდგომა, რომლის საუკეთესო რეალიზება მოხდება პროგრამის მართვის პრინციპების გამოყენებით, მასში მონაწილეობას მიიღებს პროგრამის მმართველი საბჭო სამინისტროს დონეზე, რომელსაც მხარს დაუჭერს პროგრამის მმართველი ერთეული, რომელიც განახორციელებს სამოქმედო გეგმის კოორდინირებას კონკრეტულ ეტაპებზე ფოკუსირებული მთელი რიგი ცალკეული პროექტების მეშვეობით. ეს მიდგომა წარმოდგენილია მე-3 ნახაზზე.

დიაგრამა 3: პროგრამის მართვის მიდგომა სტრატეგიის განხორციელებისათვის



9: ინდიკატორების, მონიტორინგისა და შეფასების გეგმის შემუშავება

1. საჭიროა ჩამოყალიბდეს მონიტორინგისა და შეფასების საერთო სისტემა სახელმწიფოს შესაბამის ორგანოებთან და მათ მრჩევლებთან თანამშრომლობით. მონიტორინგისა და შეფასების სისტემა მიზნად უნდა ისახვდეს:

- სოფლის განვითარების პოლიტიკის განხორციელების პროცესისა და შედეგების დემონსტრირებას, სოფლის განვითარების მიზნით განხორციელებული ინტერვენციების ზეგავლენის, ეფექტურობის, ეფექტიანობისა და რელევანტურობის შეფასებას
- სოფლის განვითარების მიზნით უკეთესი მიზნობრივი მხარდაჭერის უზრუნველყოფაში წვლილის შეტანას
- მონიტორინგსა და შეფასებასთან დაკავშირებული საერთო სასწავლო პროცესის მხარდაჭერას

2. მონიტორინგისა და შეფასების სისტემისათვის საჭიროა დაკონკრეტდეს საერთო ინდიკატორები საწყის მდგომარეობასთან, ასევე პროგრამის ფინანსურ განხორციელებასთან, შუალედურ შედეგებთან, საბოლოო შედეგებთან და ზეგავლენასთან დაკავშირებით. აღნიშნული საერთო ინდიკატორები შესაძლოა დაიყოს **პროექტის** ინდიკატორებად, **რეგიონალური** და **საერთო ეროვნული** დონეების ინდიკატორებად. ამ ინდიკატორების გამოყენება მოცემულია ქვემოთ შემოთავაზებულ სტრუქტურაში.

3. მე-4 ნახაზზე წარმოდგენილია მონიტორინგისა და შეფასების სტრუქტურის ნიმუში, რომელსაც შემდეგნარიად შევაჯამებთ:

→ მონიტორინგის ღონისძიებები, რომელმაც უნდა მოიცვას ფაქტობრივად გამოყენებული რესურსები, საქმიანობები და შუალედური შედეგები, რომელთა გაზომვაც დაუყოვნებლივ უნდა იქნას შესაძლებელი **პროექტის** ინდიკატორების მიხედვით

→ შეფასების ღონისძიებები, რომლითაც უნდა შეფასდეს პროექტის საბოლოო შედეგი და მისი ზეგავლენა **რეგიონალურ** და შესაბამის შემთხვევაში **საერთო ეროვნულ** ინდიკატორებთან მიმართებით.

მე-4 ნახაზი: მონიტორინგისა და შეფასების სტრუქტურა



4. <u>მონიტორინგი</u>: ინდიკატორები უნდა ეფუძნებოდეს არსებულ მონაცემებს და უკავშირდებოდეს სოფლის განვითარების გეგმის სტრუქტურას და ამოცანებს. ამდენად, შესაძლებელი იქნება განხორციელების პროცესის , ეფექტურობისა და ეფექტიანობის შეფასება რეგიონულ დონეზე განსაზღვრულ ამოცანებსა და პროგნოზულ მაჩვენებლებთან მიმართებით. მონიტორინგის დროს

ყურადღება მიექცევა აჭარის დონეზე განვითარების ინდიკატორების საერთო ეროვნული დონის ინდიკატორებთან ჰარმონიზებას. ეს განაპირობებს მჭიდრო მუშაობას ბათუმსა და თბილისს შორის მონიტორინგისა და შეფასების, ინდიკატორების სამუშაო მაჩვენებლების შემუშავებისას.

5. <u>შეფასება:</u> გავრცელებულ პრაქტიკაა ღონისძიებების პროგრამის განხორციელებამდე და განხორციელების შემდეგ არსებული სიტუაციის შეფასება. ამ შეფასებებს შესაბამისად ეწოდება *ex ante* და *ex post* და უმთავრესად მიზნად ისახავს იმის დადგენას მიღწეულ იქნა თუ არა პროგრამის პრიორიტეტული საბოლოო შედეგები და რა წვლილი იქნა შეტანილი ხედვის განხორციელებაში.

6. კოორდინირება: საბჭომ კავშირები უნდა ჩამოაყალიბოს UNDP-თან და თბილისში არსებულ უფლებამოსილ ორგანოებთან, რათა მოხდეს შეფასების მიდგომის ჰარმონიზება ეროვნულ მიდგომასთან მისი თანმიმდევრულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით.

10: განხორციელების სტრუქტურული საფუძვლები, მმართველობა, ინსიტუციური ფუნქციები და პასუხისმგებლობები

1. *აჭარაში სოფლის განვითარების სტრატეგიის* წარმატებით განხორციელება მოიცავს მნიშვნელოვანი ფუნქციების ეფექტურ მობილიზაციას, მათ შორის მმართველობას, დაინტერესებული მხარეების კოორდინირებას, პროგრამის სტრუქტურის შემუშავებას და ჩამოყალიბებას, ადგილობრივ დონეზე განხორციელებას და ამოცანების მიღწევას, ფინანსური სახსრების გაცემას და ადმინისტრირებას. ეს ფუნქციები სავარაუდოდ განაწილდება მთელ რიგ სხვადასხვა ინსტიტუტებზე.

2. <u>მმართველობა:</u> აჭარის ა/რ-ის მთავრობა იქნება მმართველი ორგანო, ის პასუხისმგებელი იქნება პროგრამის საქმიანობების ეფექტურად და სწორად წარმართვასა და განხორციელებაზე, ძირითადად კი შემდეგის უზრუნველყოფაზე:

a) პროგრამის და მისი განხორციელების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის აღრიცხვის, წარმოების, მართვისა და ანგარიშგებისათვის, უზრნველყოფს სათანადო, დაცული სისტემის არსებობას, რაც საჭიროა მონიტორინგისა და შეფასების მიზნებისათვის, განსაკუთრებით იმ ინფორმაციის აღრიცხვისათვის, რომელიც აუცილებელია განსაზღვრული ამოცანებისა და პრიორიტეტების შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგისათვის
b) უზრუნველყოფს, რომ ბენეფიციარები და სხვა ორგანოები, რომლებიც მონაწილეობენ პროგრამის ფუნქციონირებაში, ინფორმირებულნი არიან:
    - თავიანთი მოვალეობების შესახებ, რომლებიც გამომდინარეობს მათ მიერ გაწეული დახმარებიდან, აწარმოებენ სათანადო აღრიცხვას
    - იმ მოთხოვნების შესახებ, რომელიც შეეხება მონაცემთა მიწოდებას მმართველი ორგანოსათვის, შუალედური და საბოლოო შედეგების დოკუმენტირებას
c) პროგრამის მიმდინარეობის შესახებ წლიური ანგარიშის შედგენა
d) უზრუნველყოფა, რომ "დამფინანსებელმა" დაწესებულებამ მიიღოს ყველა საჭირო ინფორმაცია, განსაკუთრებით განხორციელების პროცედურების შესახებ და ნებისმიერი იმ საკონტროლო მექანიზმის შესახებ, რომელიც განხორციელდება იმ ოპერაციებთან მიმართებით, რომელიც შერჩეულ იქნა დაფინანსებისათვის, იმ დრომდე, სანამ გაცემული იქნება თანხები
e) პროგრამის მიერ შეთავაზებული შესაძლებლობების შესახებ პროგრამის საჯაროობის უზრუნველყოფა პოტენციური ბენეფიციარების, პროგრესიული ორგანიზაციების, ეკონომიკური და სოციალური პარტნიორების, კაცებსა და ქალებს შორის თანასწორობის ხელშეწყობაზე პასუხისმგებელი ორგანოების, შესაბამისი არსამთავრობო ორგანიზაციების, მათ შორის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ინფორმირების გზით.

3. მმართველმა ორგანომ შესაძლოა დაასახელოს ერთი ან მეტი შუალედური ორგანო, მათ შორის მუნიციპალიტეტები, ან არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც განახორციელებენ სოფლის განვითარების საქმიანობების მართვას.. როდესაც მმართველი ორგანოს მოვალეობების ნაწილის დელეგირება მოხდება სხვა ორგანოსათვის, მმართველმა ორგანომ უნდა შეინარჩუნოს სრული პასუხისმგებლობა ამ მოვალეობების მართვის და განხორციელების ეფექტურობასა და სისწორეზე. მან უნდა უზრუნველყოს შესაბამისი ნორმების არსებობა იმისათვის, რომ ამ სხვა ორგანოებს შეეძლოთ ყველა საჭირო მონაცემის და ინფორმაციის მიღება ამ მოვალეობების განსახორციელებლად.

4. <u>დაინტერესებული მხარეების კოორდინირება:</u> სოფლის განვითარების საბჭო ამჟამად პასუხისმგებელია *სოფლის განვითარების სტრატეგიის* შემუშავებაზე, და თავისი შემადგენლობით წარმოადგენს სახელმწიფო უწყებებს, მუნიციპალიტეტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და დაინტერესებული ჯგუფების უფრო ფართო წრეს. სოფლის განვითარების საბჭოს ამჟამინდელი სტრუქტურა საშუალებას მისცემს საბჭოს ჩამოყალიბდეს *დაინტერესებული მხარეების საკონსულტაციო ჯგუფად*, იმ ეტაპზე, როდესაც დასრულდება პროგრამული ღონისძიებების და საქმიანობების შემუშავება და დაიწყება პროექტების შემუშავება.

5. <u>პროგრამის სტრუქტურა და შემუშავება:</u> ამ ეტაპზე არ არის განსაზღვრული ადგილი, ან დაწესებულება, რომელიც ამ ფუნქციას შეასრულებს. ამ საკითხის გადაჭრის შესაძლო ვარიანტია *პროგრამების ერთეულის* ჩამოყალიბება სამინისტროში, რომელიც შეიმუშავებს განხორციელების გაეგმას UNDP-ის მრჩევლებთან ერთად.

6. <u>განხორციელება:</u> პროგრამის და საქმიანობების და/ან პროექტების ჩამოყალიბების შემდეგ საჭირო იქნება შეთანხმებული შუალედური შედეგების განხორციელების წარმართვა, ხელშეწყობა და ხელმძღვანელობა ისეთი საქმიანობების მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს განსაზღვრული ამოცანების მიღწევას. ამ ფუნქციის განხორციელების საერთო ადგილი იქნება ექსტენციის [საინფორმაციო-საკონსულტაციო] სამსახურები, ტრენინგებისა და პროგრამის შემუშავების საწყისი პერიოდის შემდეგ კი - მუნიციპალიტეტები. აჭარაში ექსტენციის სამსახური (აგრო სერვის ცენტრის ფილიალები) კარგად არის მომზადებული იმისათვის, რომ ეს ფუნქცია შეასრულოს იმ მაღალი რეპუტაციის საშუალებით, რომლითაც ის სარგებლობს განსაკუთრებით ფერმერებში და მათთან კავშირებით. მუნიციპალიტეტებს ხელსაყრელი პოზიცია აქვთ იმისათვის, რომ სოციალურ მიზნებზე ფოკუსირებული საქმიანობები განახორციელონ და ლეგიტიმური როლი შეასრულონ LEADER-ის ფარგლებში ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფების ჩამოყალიბების და ფუნქციონირების ხელშეწყობაში.

7. <u>სახსრების გაცემა:</u> აკრედიტირებული გადახდების განმახორციელებელი სააგენტოს (რაც ევროკავშირის მოთხოვნაა) არარსებობის შემთხვევაში საჭირო იქნება სოფლის განვითარებისათვის განკუთვნილი სახსრების მართვასა და გაცემაზე პასუხისმგებელი დაწესებულების, ანუ ლეგიტიმური ორგანოს დასახელება. ამ ორგანოს ფინანსური კონტროლის განხორციელების და სანქციების შემოღების გამოცდილება უნდა ჰქონდეს. ამ ორგანოს საქმიანობა დაექვემდებარება რეგულარულ შესწავლას და აუდიტს.

8. <u>ადმინისტრირება:</u> საჭიროა არსებობდეს ადმინისტრაციული ერთეული, რომლის ოფისი, როგორც წესი, მმართველი ორგანოში არის ხოლმე განთავსებული, რათა განახორციელოს პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობების ადმინისტრირება. ამ ფუნქციის შემსრულებელმა ორგანომ ეფექტური სამუშაო ურთიერთობები უნდა ჩამოაყალიბოს ადგილზე პროგრამული საქმიანობების განმახორციელებლებთან და თანხების გაცემაზე პასუხისმგებელ ორგანოსთან. ადმინისტრაციული ერთეული ასევე პასუხისმგებელი უნდა იყოს პროგრამის შესახებ მონაცემების შეგროვებასა და რეგულარული მონიტორინგის ანგარიშების მომზადებაზე, და სხვ.

9. ქვემოთ სქემატურად მოცემულია საჭირო შემოთავაზებული ფუნქციები.



მე-5 ნახაზი: მმართველობა ინსტიტუციური ფუნქციები და შესაძლებლობები

11: ფინანსური კონტროლის მექანიზმები და სანქციები

1. სოფლის განვითარებისათვის განკუთვნილი სახსრებით მხარდაჭერილი პროექტის ნებისმიერ ღონისძიებაზე შეიძლება გავრცელდეს *საკონტროლო გეგმა*, რომელიც მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

1. <u>პროექტის ამოცანების განსაზღვრა</u>
2. მხარდაჭერის <u>სამართლებრივ ბაზაზე</u> მითითება
3. <u>შესრულების გრაფიკი:</u> ხელშეწყობის პერიოდში საკონტროლო გეგმაში კონკრეტულად იქნება მითითებული ნებისმიერი დამატებითი შეზღუდვა საქმიანობის განხორციელების პერიოდთან და ხარჯებთან დაკავშირებით
4. <u>რისკი:</u> საკონტროლო გეგმაში მითითებული იქნება დარღვევების ის ძირითადი ტიპები, რომელთა თავიდან აცილებისთვისაც გეგმით გათვალისწინებულია ღონისძიებები; მაგალითად, არასათანადო საქმიანობისათვის მოთხოვნილი გრანტი, ორმაგი დაფინანსება, გრანტის პირობების დაუკმაყოფილებლობა.
5. <u>პასუხისმგებლობები:</u> საკონტროლო გეგმაში შეჯამებულია პასუხისმგებლობები ყველა ელემენტისათვის და მითითებულია ფუნქცია პროექტის ადმინისტრირებაში
6. <u>მესამე მხარეებისათვის ფუნქციების დელეგირება:</u> პროექტების დამტკიცების შედეგად განხორციელებული ღონისძიებები შესაძლოა მოიცავდეს მესამე მხარეებიდან მიღებულ მნიშნელოვან მოსაზრებებს, მათ შორის "დამფინანსებელი" უწყებების, ან გარეშე ორგანოების, მაგალითად, აგრო სერვის ცენტრების მოსაზრებებს. მესამე მხარეებისათვის ნებისმიერი ფუნქციის გადაცემა უნდა განხორციელდეს საკანონმდებლო დებულებების შესაბამისად.

7. <u>კომპიუტერული სისტემის კონტროლის ღონისძიებები:</u> საკონტროლო გეგმაში აღწერილი იქნება ის ღონისძიებები, რომელიც უზრუნველყოფს საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემის მეშვეობით განხორციელებული პროცესების დაცულობას. ეს უნდა მოიცავდეს:
   i. სისტემაში შეტანილი ინფორმაციის დადასტურებას, რათა უზრუნველყოფილ იქნას მონაცემებში შეცდომების გამორიცხვა და გასწორდეს ისინი
   ii. მხოლოდ სათანადოდ უფლებამოსილ პირებს (მინიჭებული პაროლებით) შეეძლებათ მონაცემების შეტანა, მოდიფიცირება, ან სისწორის[ვალიდურობის] დადასტურება
   iii. შესრულებულ მოქმედებათა აღრიცხვის ავტომატური ჟურნალი მიუთითებს იმ ოფიციალური პირების ვინაობას, რომელთაც შეიყვანეს მონაცემები, ან პროგრამები და მოახდინეს მათი მოდიფიცირება
8. <u>შემოწმება წინასწარი დამტკიცებისათვის</u>: ყველა განაცხადი წარმოდგენილი იქნება წინასწარ დამტკიცებული ფორმატით და ყველა იმ ინფორმაციით, რომელიც მოითხოვება იმისათვის, რომ განხორციელდეს შეფასება და მოხდეს მათი სისწორის დადასტურება.
9. განაცხადების შემოწმებები განხორციელდება შეთანხმებული საკონტროლი სიების მიხედვით, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს:
   i. აკმაყოფილებს თუ არა განმცხადებელი პროგრამაში მონაწილეობის კრიტერიუმებს
   ii. აკმაყოფილებს თუ არა შემოთავაზებული ხარჯები განსაზღვრულ მოთხოვნებს
   iii. პოტენციური კონფლიქტი ეროვნული და რეგიონული პოლიტიკის ამოცანებთან
   iv. წვლილის შეტანა სოფლის განვითარების გეგმით გათვალისწინებული ამოცანების მიღწევაში
   v. დამატებითი ღირებულების შეფასება და/ან შეესაბამება თუ არა მოთხოვნილ თანხას მიღებული შედეგი
10. განაცხადების დამუშავება მაქსიმალურად მოხდება განსაზღვრულ ვადებში
11. <u>პროექტის მონიტორინგი:</u> პროექტების მონიტორინგი მოითხოვება შემდეგის უზრუნველსაყოფად:
   i. მხარდაჭერა გამოყენებულია იმ მიზნით, რისთვისაც ის გასცეს და ხდება შესაბამისი პირობების და ვადების დაკმაყოფილება
   ii. პროექტის ჩავარდნები, მიაღწიოს პროგნოზირებულ შედეგებს გამოვლინდება ადრეულ ეტაპზე
   iii. ხელშეწყობის შედეგად მიღწეული სარგებელი შესაძლოა შეფასდეს.
12. მონიტორინგი შესაძლოა განისაზღვროს ორ კატეგორიად. ყველა პროექტის ადმინისტრაციული "რუტინული მონიტორინგი", რაც უზრუნველყოფს მათი სწორი მიმართულებით განხორციელებას, და პროექტების "ადგილზე" შემოწმება რისკების შეფასების მიხედვით შერჩეულ სეგმენტებში. "ადგილზე" შეფასება უნდა განხორციელდეს ყოველწლიურად ბენეფიციართა მინიმუმ 75% -ის შემთხვევაში. შემოწმებების შესახებ წინასწარი გაფრთხილება ხდება მინიმალურ დროში.
13. შემოწმებისათვის პროექტების შერჩევა განხორციელდება რისკების ანალიზის საფუძველზე, რომელიც გაითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს:
   i. გაცემული თანხის ოდენობა
   ii. წინა შემოწმების დროს გამოვლენილი ნებისმიერი ფაქტი, მათ შორის რუტინულად შემუშავებულ პროექტის მიმდინერეობის შესახებ ანგარიშებში
   iii. თავდაპირველი ხარჯებიდან გადახრის შესახებ მომართვები
14. განხორციელებული შემოწმებები კომპლექსური უნდა იყოს და მოიცავდეს ყველა შესაბამის საქმიანობას და პირობას, რომელიც შეესაბამება განსახილველ პროექტს. შედეგები ცხადად უნდა იქნეს ასახული ანგარიშში წინასწარ შეთანხმებული ფორმატით, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა ჩაბარდეს
15. პროექტის "ადგილზე" შემოწმების მიზნით შერჩევისთანავე დახმარების გადახდა უნდა შეჩერდეს იმ დრომდე, სანამ მის შესახებ არ იქნება წარმოდგენილი დამაკმაყოფილებელი ანგარიში

16. დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში მმართველმა ორგანომ დაუყოვნებლივ უნდა განახორციელოს გამოსასწორებელი ღონისძიება; იქნება ეს პროექტის დამტკიცების გაუქმება, პროექტის შეკვეცა, თუ გრანტის უკან დაბრუნება
17. პრეტენზიების დამუშავება: პრეტენზიები დამუშავდება ეტაპობრივად, მათი აღრიცხვა მოხდება შეთანხმებულ საკონტროლო სიაში. შედეგების ანგარიშგება განხორციელდება ყოველკვარტალურად ნებისმიერი საერთო თემის, ან გასაკონტროლებელი საკითხის გამოვლენის მიზნით.
18. ჯარიმები: პროექტის თითოეული ღონისძიება დაექვემდებარება ცხადად განსაზღვრულ ჯარიმებს პროექტის წესების, ან ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში
19. ანგარიშგების პროცედურები: რეგულარული ანგარიშებია:
    i. პროექტის ვალდებულებები და ხარჯები
    ii. პროექტების შუალედური შედეგები – მოსალოდნელი და მიღწეული
    iii. მონიტორინგის საქმიანობა
    iv. დარღვევების შესახებ ანგარიშგება
    v. ხელმძღვანელობის შემოწმებები

12: დაინტერესებული მხარეების ჩართვის სტრატეგია

1. დაინტერესებული მხარეების ეფექტური მონაწილეობა მდგრადი საბოლოო შედეგების მიღწევაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანის მიზნით აუცილებელი ელემენტია. ეფექტური მონაწილეობითი პროცესის შემუშავება და განხორციელება სავარაუდოდ უზრუნველყოფს ისეთი საბოლოო შედეგის მიღწევას, რომელიც უკეთ არის მხარდაჭერილი, შეხამებული და დაფუძნებული სხვადასხვა პრაქტიკის მქონე ადამიანების ცოდნასა და გამოცდილებაზე.

2. ევროკავშირის დონეზე წევრ ორგანიზაციებს "პარტნიორობების" ჩამოყალიბება მოეთხოვებათ მრავალ სხვა ორგანიზაციასთან ერთად „...ნებისმიერ შესაბამის ორგანოსთან, რომელიც წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოებას, არასამთავრობო ორგანიზაციებს, მათ შორის გარემოსდაცვით ორგანიზაციებს..." ეროვნული სტრატეგიის გეგმის და სოფლის განვითარების გეგმის შემუშავებისას. ამასთან, წევრ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ ინფორმაციის მიწოდება ეროვნული სტრატეგიის და სოფლის განვითარების პროგრამის შესახებ ფართო საზოგადოებისა და გარკვეული ტიპის ორგანიზაციებისათვის და მათ უნდა „უზრუნველყონ დაფინანსების დახმარების გამჭვირვალობა".

3. ბოლოს, ცალკე კომპონენტის ჩამოყალიბება LEADER –თვის მიუთითებს იმ პრიორიტეტზე, რომელსაც ევროკომისია ანიჭებს დაინტერესებული მხარეების ფართო წრის ეფექტურ მონაწიელობას და კანონიერ ინტერესებს სოფლის განვითარების პროგრამაში, ამის მხარდასაჭერად იგი უზრუნველყოფს დაფინანსების გამოყოფას.

4. ცენტრალური მთავრობა, ადგილობრივი ორგანოები, გარემოსდაცვითი და სხვა ორგანიზაციები, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციები აუცილებელ პირობად თვლიან საზოგადოების ფართო მონაწილეობის საჭიროებას თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამას ხშირად ხელს უწყობს საკანონმდებლო მოთხოვნა აღნიშნულის განსახორციელებლად. გამოცდილება გვიჩვენებს რომ ადრეულ ეტაპზევე ფერმერების და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში გაცილებით უფრო ეფექტურია, ვიდრე ღონისძიებების შემუშავება უფლებამოსილი ორგანოების მიერ და შემდგომ მათი, როგორც დასრულებული ფაქტის, შეთავაზება პოტენციური ბენეფიციარებისათვის.

5. გამოცდილება[9] გვიჩვენებს, რომ სოფლის განვითარებისადმი პროგრამული მიდგომა კომპეტენტურ ორგანოებს უბიძგებს პროგრამის შემუშავების პროცესში გაითვალისწინონ უფრო მეტი ვიდრე მხოლოდ სასოფლო სამეურნეო ინტერესებია. თუმცა, უფრო ფართო სპექტრიდან დაინტერესებული მხარეების, განსაკუთრებით არასამთავრობო ორგანიზაციების, ჩართვის მხრივ აღინიშნება ჩამორჩენა. სახელდობრ, დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა ზოგადად უფრო გავრცელებულია გეგმის მომზადების პროცესში ვიდრე მისი განხორციელების ეტაპზე. მაგ.: „გერმანიაში: ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი პარტნიორები სხვადასხვა მასშტაბით მონაწილეობდნენ სოფლის განვითარების პროგრამის შემუშავებაში ფედერალურ დონეზე, მაგრამ საქმიანობის შედეგები უფრო არადამაკმაყოფილებელი იყო განხორციელების ეტაპზე".[10].

6. საზოგადოების მონაწილეობა ითვალისწინებს ინდივიდუალური პირების უფლებას იყვნენ ინფორმირებულნი, მიიღონ მათგან კონსულტაციები და გამოხატონ თავიანთი შეხედულებები. ეს ასევე უზრუნველყოფს 'ქვემოდან ზემოთ' მიდგომას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და საზოგადოების უფრო მეტ ინფორმირებულობას, უფრო მეტ პასუხისმგებლობას. მონაწილეობა ქმნის ნდობის, შესაძლებლობების და გაგების ჩამოყალიბების შესაძლებლობებს, განსაკუთრებით მაშინ,

---

[9] *წყარო: ELCo and Europe's Rural Futures (ERF)*

[10] *წყარო : 5Schubert, D. (2005) page 9 section 2.2.2*

როდესაც ეს გამოყენებულია გადაწყვეტილების მიღების ადრეულ ეტაპზევე. ინდივიდუალური მონაწილეობის გარდა მონაწილეობა შესაძლოა მიიღონ არასამთავრობო ორგანიზაციებმა.

7. მონაწილეობის გამჭვირვალობას და დროულობას დიდი მნიშნშვნელობა აქვს უფრო წარმატებული სოფლის განვითარების დაგეგმვის პროცესისათვის და საბოლოო შედეგებისათვის. უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა დაინტერესებულ მხარეს ა პროგრამების შემუშავების და განხორციელების ყველა ეტაპზე. თუმცა, მათ ვისაც სურს, ან რომელთა მონაწილეობაც საჭიროა, პროცესების სიცხადე, დროისა და მგზავრობის ხარჯების დასაფარად ვადებისა და ბიუჯეტის შესახებ მათი ადრეულ ეტაპზე ინფორმირება, მათი, ხშირად არსებითი მნიშვნელობისაა: „საჭიროა მონაწილეობის უფრო სისტემური პროცესის არსებობა... რათა ჩამოყალიბდეს მათი შესაძლებლობები ეფექტურად მიიღონ მონაწილეობა".[11] არასამთავრობო ორგანიზაციები ხშირად არ არიან მიჩნეული ლეგიტიმურ დაინტერესებულ მხარეებად, რაც შესაძლოა ასახვდეს თანამონაწილეობის სუსტ ტრადიციას. ამ სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს შესაძლებლობებთან დაკავშირებული პრობლემები (მაგ. ცოდნა, რესურსები), რაც ცალსახად ზღუდავს შესაძლებლობას პროგრამების მოქმედების სფეროში გათვალისწინებული იქნას დაინტერესებული მხარების გამოცდილება მათი [პროგრამების] განხორციელებისას და გადასინჯვის დროს. პროგრამების სირთულე და განხორციელების სტრუქტურები, უწყვეტობის ნაკლებობა ასევე განაპირობებს პროცესებში მონაწილეობის არ მიღებას.

8. მონაწილეობის შემოთავაზებული სტრატეგია: შემდეგი შეკითხვები დაგეხმარებათ უზრუნველყოთ დაინტერესებული მხარეების ეფექტური მონაწილეობის ინტეგრირება პროგრამის შემუშავებისას:

→ როგორ მოხდება ძირითადი სასოფლო, მიწის მართვის, გარემოს დაცვის, ეკონომიკური და სოციალური საკითხებით დაინტერესებული ძირითადი მონაწილეების გამოვლენა ქვეყნის მასშტაბით/რეგიონალურ/ადგილობრივ დონეებზე; და როგორ მოხდება მათი ჩართვა ამ პროგრამის შემუშავების პროცესში?

→ რა ღონისძიებები უნდა იქნეს შემუშავებული იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას იმ დაინტერესებული მხარეების გამოვლენა, რომელთაც შეუძლიათ ეფექტური მონაწილეობა მიიღონ პროგრამის შემუშავების პირველივე ეტაპებიდანვე მისი ადგილზე განხორციელების ჩათვლით, თითოეული მათგანის შესაძლებლობების გათვალისწინებით?

→ რა ტიპის მონაწილეობა იქნება გამოყენებული (მაგ. მათთან პირადი შეხვედრები, ინტერნეტ კონსულტაციები), რათა განხორციელდეს პარტნიორების ჩართვა? ეს როგორ მიესადაგება შერჩეული პარტნიორების შესაძლებლობებს?

→ არიან თუ არა ინფორმირებულნი პარტნიორები, თუ რა ფუნქციის და რა სახის წვლილის შეტანას მოელით მათგან?

→ როგორ მოხდება დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის შედეგების კომუნიკაცია? როგორ მოხდება დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების გათვალისწინება და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება?

9. <u>სოფლის განვითარების 2004-2006 წლების გეგმის შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის გამოცდილება</u>. პოლონეთში სოფლის განვითარების 2004-06 წლების გეგმის შემუშავებისას გაიმართა კონსულტაციები დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრთან, რის შედეგადაც დადებითი ცვლილებები შევიდა აღნიშნული გეგმის პროექტში. თუმცა, დასაწყისში პროცესს არ ჩაუვლია პრობლემების გარეშე, მაგალითად, გვიან შეტყობინება; კომუნიკაციის არარეგულარული საშუალებების გამოყენება; არასაკმარისი მითითებები იმის შესახებ, თუ როგორ იქნეს გათვალისწინებული კომენტარები;

[11] *წყარო: Beaufoy, G.; Jennings, S.; Hernandez, E.; Peiteado, C. & Fuentelsaz, F. (2005) page 7 section 5*

როგორ მოხდეს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართვა გეგმის სხვადასხვა კომპონენტების შემუშავებაში. შემოთავაზებული გაუმჯობესება მოიცავს: ინფორმაციის უკეთ გაზიარებას, როგორიცაა დამოუკიდებელი ექსპერტების ანალიზი; შესწორებებისა და კომენტარების, სამინისტროს მათზე გაცემული პასუხების აღრიცხვის რეესტრის შემოღებას; არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის ერთეულის ჩამოყალიბებას, რაც ხელს შეუწყობს ინფორმაციის გადაცემას და ხელს შეუწყობს საზოგადოებასთან კონსულტაციების პროცესის დაუბრკოლებლად წარმართვას, მათ შორის ცხადი და გონივრული ვადების განსაზღვას; კომუნიკაციის უფრო შესაბამისი საშუალებების (მაგ. ბიულეტენები, ადრესატთა სიები ელ. წერილების გავრცელებისათვის, საჯარო დებატები, მას მედია)გამოყენებას; არასამთავრობო ორგანიზაციების შეასძლებლობების ჩამოყალიბებაში დახმარების გაწევას, კერძოდ, ევროკავშირის შესაბამის კანონებსა და პოლიტიკაში ტრენინგების ჩატარების გზით. [12]

10. პრიორიტეტული ღონისძიების გათვალისწინებით აჭარაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მუნიციპალიტეტების ადრეულ ეტაპზე მონაწილეობას, კონცეფციის და სოფლის განვითარების ღონისძიებების პრაქტიკული გამოყენების გაცნობას. შემოთავაზებულია, რომ:

- მუნიციპალიტეტებს ინდივიდუალურად მიეწოდოთ განახლებული ინფორმაცია, თუ რა ეტაპზეა სტრატეგია
- მუნიციპალიტეტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა განიხილონ შემოთავაზებული საბოლოო შედეგები რეგიონისათვის და ის, თუ რა ამოცანები შეიძლება იქნას დასახული მუნიციპალიტეტისათვის
- მუნიციპალიტეტებს ჰქონეთ შესაძლებლობა განიხილონ რა როლს ასრულებს ENPARD-ის პროგრამა და LEADER ადგილობრივ დონეზე 'ქვემოდან ზემოთ' საკითხების გადაჭრაში კერძო და სახელმწიფო პარტნიორობების ფარგლებში

11. სოფლის განვითარების საბჭოს კარგი პოზიცია აქვს იმისათვის, რომ:

→ შეადგინოს მიწის მართვის, გარემოს დაცვის, ეკონომიკური და სოციალური საკითხებით დაინტერესებული ძირითადი მონაწილეების სავარაუდო სია

→ შეადგინოს ადრესატთა სია ელ. წერილების გავრცელებისათვის, რომელიც შედგება ზემოაღნიშნული ძირითადი დაინტერესებული მხარეებისაგან

→ შეიმუშაოს კომუნიკაციის სტრატეგია 2016 წლის დასაწყისში და განსაზღვროს, როდის და როგორ იქნებიან ძირითადი დაინტერესებული მხარეები ჩართულები – განსაკუთრებით ისინი, რომლებთან დაკავშირებაც ელ. ფოსტით არ არის შესაძლებელი

→ განიხილოს ვებ გვერდზე დაფუძნებული პორტალის შექმნა, რათა მოსაზრებები უფრო ფართო მოსახლეობიდან იქნას მიღებული

→ განიხილოს სოფლის განვითარების საბჭოს ფუნქცია მას შემდეგ, როდესაც შემუშავდება სოფლის განვითარების სტრატეგია იმის გათვალისწინებით, რომ განხორციელების დროს მოსალოდნელია, რეგიონალური საკონსულტაციო ჯგუფის ჩამოყალიბების საჭიროება

→ მუნიციპალიტეტებთან ურთიერთობის ხელშეწყობა 2016 წლის დასაწყისში, რათა უზრუნველყოფილ იქნას დარწმუნების პროცესისა და მიდგომის წარმატებულობა.

---

[12] *წყარო: ELCo National Report for Poland (2005) WWF*

13: ტრენინგების, კვლევების, სადემონსტრაციო პროექტებისა და საპილოტე პროექტების საჭიროება

1. ბოლო დროინდელი შეფასებით,[13] რომელიც შეეხებოდა საქართველოში სოფლის განვითარების პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების შესაძლებლობების შეფასებას, გამოვლინდა ინსტიტუციურ და დაინტერესებულ მხარეთა დონეზე პოლიტიკის დოკუმენტის მთელი რიგი ნაკლოვანებები. ქვემოთ, მე-2 ცხრილში მოცემულია ძირითადი საკითხების შეჯამება.

მე-2 ცხრილი: ინსტიტუციურ და დაინტერესებულ მხარეთა დონეზე პოლიტიკის ნაკლოვანებები

სფერო - დონე	**ნაკლოვანებები**
პოლიტიკა	→ სოფლის განვითარების სტრატეგიისათვის არ არის შემუშავებული პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტი; შემუშავებულია მხლოდ 2015-2020 წლების სოფლის განვითარების სტრატეგია → არასრულყოფილი სამართლებრივი ბაზა → არ არის სრულყოფილი, ან არ არსებობს პოლიტიკის შემუშავებისათვის ძირითადი განსაზღვრებები (მაგ. ფერმერი, სოფელი ადგილები, ცოცხალი პირუტყვის რეესტრი, მიწის რეესტრი და კადასტრი, ვენახების რეესტრი ან სხვა სასაქონლო რეესტრები, ნაკლებად ხელსაყრელი ტერიტორიები, და სხვ.),სტატისტიკა → შეზღუდული კოორდინირებული მიდგომა სოფლის განვითარების ღონისძიებებისადმი → არ არსებობს სხვადასხვა დარგობრივი სამინისტროების ან სხვა სახელმწიფო დაწესებულებების ნათელი კომპეტენციები და მანდატი სოფლის განვითარების საკითხთან დაკავშირებით
ინსტიტუციური	→ არასრულყოფილი მიწის რეგისტრაცია და კადასტრი → არასრულყოფილია ან არ არსებობს ცოცხალი პირუტყვის რეესტრი → ფიტოსანიტარიისა და ვეტერინარული კონტროლის დაბალი დონე → სოფლის მეურნეობის სამინისტროში არ არსებობს სოფლის განვითარების სტრუქტურული დანაყოფი → არ არსებობს ადგილობრივი დონის მეწარმეობისა და ადგილობრივი ინიციატივების განვითარების მხარდამჭერი მექანიზმები → სოფლის მეურნეობის და სასოფლო სექტორით დაინტერესებული მხარეების, -მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო სექტორის და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების შესაძლებლობების დაბალი დონე → სამთავრობო ორგანოების შესაძლებლობების დაბალი დონე სოფლის განვითარების მიდგომების შემუშავებისა და განხორციელების თვალსაზრისით → შეზღუდული შესაძლებლობები ექსტენციის სამსახურების ინფრასტრუქტურისა და შრომითი რესურსების თვალსაზრისით

[13] *სოფლის განვითარება საქართველოში – პოზიციის გამომახატველი დოკუმენტი, ავტორი ბ-ნი რიჩარდ ებერლინი, დეკემბერი 2015 წ.*

	→ შეზღუდული შესაძლებლობები კვლევითი ინსტიტუტების სამსახურების ინფრასტრუქტურისა და შრომითი რესურსების თვალსაზრისით
დაინტერესებული მხარეები	→ შეზღუდული წვდომა თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ნოუ-ჰაუზე → შეზღუდული წვდომა სოფლისათვის განკუთვნილ დაფინანსებაზე → შეზღუდული ურთიერთობები სოფლის მეურნეობასა და სოფლის სხვა ეკონომიკურ სექტორებს შორის → მოსახლეობის განათლების დაბალი დონე → სოფლის მოსახლეობის მოტივაციის დაბალი დონე → ინოვაციის/ინოვატორების არ არსებობა სოფლებში → ადგილობრივი ინიციატივების ან დოკუმენტების/სტრატეგიების ნაკლებობა, სადაც განსაზღვრული იქნება ნაკლოვანებები, პრიორიტეტები და განვითარების შესაძლებლობები → პოლიტიკის შემუშავებაში შეზღუდული ფუნქციის მქონე სუსტი ფერმერული ორგანიზაციები, მათ შორის კოოპერატივები

2. ზემოაღნიშნული სუსტი მხარეები არ არის მხოლოდ საქართველოსათვის დამახასიათებელი. რადგანაც აჭარა და საქართველო აყალიბებენ სოფლის განვითარების მიდგომას, ეს სუსტი მხარეები კიდევ უფრო ზრდიან იმის საჭიროებას, რომ განხორციელდეს ინსტიტუციური შესაძლებლობების და გამოცდილების გაძლიერება,შემოღებულ იქნას პრაქტიკული მიდგომა, სოფლის განვითარების ინიციატივების მიმართ პროგრამული და პრაქტიკული მიდგომა. ეს საქართველოსა და კონკრეტულად აჭარისათვის შესაფერისი იქნება, რათა შეიმუშაონ ისეთი მექანიზმები, რომლებიც მიღებული გამოცდილების სწრაფად გაზიარებისა და პროცესებში ეფექტურად, ცვლილებების შეტანის შესაძლებლობას იძლევა. ეს მექანიზმები უნდა ითვალისწინებდეს ტრენინგებს, კვლევებს, სადემონსტრაციო პროექტებს და პილოტირებას.

3. <u>ტრენინგები:</u> მე-8 ნახაზზე წარმოდგენილი სტრუქტურა გამოყენებულ უნდა იქნას ტრენინგების ინიციატივების წარსამართად სოფლის განვითარების პროგრამის შემუშავების და განხორციელების პროცესში. აჭარაში ამ ფუნქციების ჩამოყალიბება უნდა წარიმართოს სამუშაო ადგილზე ტრენინგებთან ერთად. ამ სფეროს სპეციფიკურ საკითხებზე მომუშავეებს უნდა დაევალოთ, რომ განსაზღვრონ უკეთესი და უფრო ეფექტური გზები კონკრეტული ამოცანებისა და პროცესების განსახორციელებლად, რაც გაუმჯობესებისაკენ უწყვეტ სწრაფვას შეესაბამება. ამ მიდგომის გამოყენების წამყვანი ძალა უნდა იყოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო და პროგრამის მართვის საბჭო. ცოდნის გადაცემის და ინოვაციების ხელშეწყობა სოფლის განვითარების სტრატეგიისა და მისი ბენეფიციარებისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიზნად არის განსაზღვრული, რაც ასევე "წამყვანი" უნდა იყოს მათთვის, ვინც პასუხისმგებელია სოფლის განვითარების ინიციატივების შემუშავებასა და განხორციელებაზე.

4. საჭიროა სისტემების შემუშავება, რომელიც მსოფლიოს და განსაკუთრებით ევროკავშირის არსებულ გამოცდილებას ასახავს, შეინახავს და დააგროვებს. მაგალითად, ევროპის *სოფლის განვითარების კარიბჭე*[14] და *სოფლის ფაილები*[15] შეიცავს მდიდარ ინფორმაციას პოლიტიკის, პროცესების, მონიტორინგისა და შეფასების მიდგომის შესახებ.

5. <u>კვლევები:</u> აღიარებულია, რომ საიმედო მონაცემები და მტკიცებულების წყაროები სოფლის განვითარების მიზნობრივი მიდგომის შემუშავების შემზღუდველი ფაქტორია. ამ პრობლემის სწრაფად გადაჭრა შეუძლებელია, თუმცა არსებობს ალტერნატივაც, რომ შემოღებულ იქნას

[14] http://enrd.ec.europa.eu/en/policy-in-action/cap-towards-2020/rdp-programming-2014-2020
[15] http://ec.europa.eu/agriculture/rural-development-2014-2020/country-files/index_en.htm

კვლევითი ანგარიშებისა და ეკონომიკური კვლევების განხორციელების დაწყების მიზნით უაღრესად ფოკუსირებული მიდგომა, ჩამოყალიბდეს საუკეთესო პრაქტიკის მონაცემთა ბაზები, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება სოფლის განვითარებით დაინტერესებული ყველა ადამიანისათვის.

6. <u>დემონსტრირება</u> ყოველთვის ეფექტური გზაა ექსტენციის კონსულტანტისათვის და ასევე უნდა იყოს მათთვის, რომლებიც ცდილობენ სოფლის მცხოვრები მოსახლეობის ინფორმირებას, სტიმულირებას იმ სარგებელთან დაკავშირებით, რომელიც მოაქვს ამ კონცეფციის მიღებას და საქმიანობების შესრულებას სასოფლო თემების სასარგებლოდ. აჭარის სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერილი თითოეული ინიციატივა განხილული უნდა იქნას როგორც სიტუაციური ანალიზი,შემდგომ წარმოდგენილი უნდა იქნას წარმატების ძირითად ფაქტორებზე ყურადღების გამახვილებით და დემონსტრირებით.

7. შესაბამის შემთხვევაში უნდა გამოიყოს ბენეფიციართა ადგილები, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება დაინტერესებული მხარეებისათვის , მათ შორის მხარდაჭერის პოტენციური კანდიდატებისათვის, რათა მათ დაინახონ სოფლის განვითარება პრაქტიკაში და გაიგონ ზოგიერთი პრობლემის შესახებ იმ პირებისაგან, რომელთაც ახლახანს მიიღეს გამოცდილება ამ მხრივ.

8. <u>პილოტირება:</u> განზრახულია LEADER-ის საქმიანობის პილოტირება 2016 წლის დასაწყისში, რომელიც მოიცავს *ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფების* ჩამოყალიბებას და მხარდაჭერას. ეს იქნება აჭარისთვის განვითარების მნიშვნელოვანი ღონისძიება, რადგან იგი ცდილობს ჩამოაყალიბოს სოფლის განვითარების [ინსტიტუციური] შესაძლებლობები და განავითაროს კავშირები და ქსელები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვევიდან ზევით იდეების მიწოდებისა და მიდგომების წარმოჩენას. საპილოტე ღონისძიებები უნდა ითვალისწინებდეს შეფასების ეტაპს, რათა შეფასდეს არა მხოლოდ მიღწეული საბოლოო შედეგები, არამედ ასევე შემოთავაზებულ იქნას პროცესის ადმინისტრირებისა და მართვის პროცესის კრიტიკა.